

**გაბაგრძელებს — განაგრძობს** საერთო ძირისა და სხვადასხვა წარმოების სინონიმური სიტყვებია. მათი მნიშვნელობა: დაწყებულის არშეწყვეტა, განახლება, გადაადგილება, წინსვლა, მატება მანძილში ანდა დროში.

ხშირად ამ სიტყვათა მნიშვნელობები ერთმანეთს ფარავს. შეიძლება ვთქვათ როგორც: **გზას, მოგზაურობას განაგრძობს**, ისე: **გზას, მოგზაურობას გააგრძელებს**; ასევე: **სიარული, ლაპარაკი გააგრძელა და სიარული, ლაპარაკი განაგრძო**. მცირე განმასხვავებელი ნიუანსი მაინც შეიმჩნევა: **განაგრძობს** ზმნა მოქმედების, პროცესის უწყვეტობაზე უფრო მიუთითებს, ხოლო **გააგრძელებს** — ამ მოქმედების პროცესის გაჭიმვა-გაჭიანურებაზე დროსა თუ სივრცეში. **გზას განაგრძობს** აუცილებლობით გულისხმობს ადრე დაწყებულისა და შემდგომ შეწყვეტილი სიარულის გაგრძელებას, განახლებას, ხოლო **შესიტყვებას — გზას გააგრძელებს** — აღნიშნული ნიუანსის გამოხატვისთან ერთად შეუძლია გზის სივრცობრივი დაგრძელება-გაჭიმულობის ჩვენებაც. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ფორმაწარმოების თვალსაზრისით **აგრძელებს** უფრო მოქნილია: გარდა იმისა, რომ იგი სხვადასხვა ზმნის-წინს დაირთავს განსხვავებული ლექსიკური შინაარსის გამოსახატავად, ამ ზმნას სათანადო ვნებითის ფორმებიც ეწარმოება; განარჩევს ქცევის, კონტაქტის, ასპექტის სახეებს, რომელთა დიდ ნაწილს მოკლებულია ზმნა **განაგრძობს**.

თანამედროვე ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ **განაგრძობს** ფორმა შემოიფარგლოს ზოგადი მოქმედების სახელებით გადმოცემული პროცესის უწყვეტობის ჩვენებით, **აგრძელებს** ზმნამ კი უფრო კონკრეტული დროული ანდა სივრცობრივი გაგრძელება გამოხატოს.

ამ თვალსაზრისით უმჯობესი იყო საწყისებთან — **მუშაობა, მიღება, ცხოვრება, შევიბრება...** გამოყენებული ყოფილიყო **განაგრძობს** და არა **აგრძელებს**: „თბილისის I ავტოშემკეთებელი ქარხანა **აგრძელებს...** [უმჯობესია: განაგრძობს] ავტომაქანების მიღებას კაპიტალურ შეკეთებაში უგანაწესოდ“ („კომ.“); „ბაკურიანში **მუშაობას აგრძელებს** [უმჯობესია: განაგრძობს] ახალგაზრდა შემოქმედთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი“ („ახ. კომ.“); „კარგად ვიცით, რომ ეს სიყვარული ახლა „მოდიდან გასულად“ ითვლება, მაგრამ რას ვიზამთ? ის არსებობს, არ ნელდება, და ჩვენ **ვაგრძელებთ** [უმჯობესია: განვაგრძობთ] მისი სიხარულითა და სევდით **ცხოვრებას**“ („ახ. კომ.“); „ვალდებულების დასკვნით მუხლში წერია, რომ ისინი

**გააგრძელებენ** [უმჯობესია: განაგრძობენ] სოციალისტურ შეჯიბრებას მოსკოვის, თბილისისა და ჩარენცავანის საინსტრუმენტო ქარხნებთან“ („თბილ.“).

მეორე მხრივ, არსებითი სახელი ტრადიცია ამჯობინებს აგრძელებს ზმნის გამოყენებას: „ასე სახელოვნად განაგრძობენ [უმჯობესია: (გა)აგრძელებენ] მამა-პაპათა ტრადიციებს“. („კომ.“).

**გააპკეთებს** ზმნის რამდენიმე მნიშვნელობიდან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სემანტიკა: შრომით რისაშე შექმნა. ამის შესაბამისად ეს ზმნა მრავალ სახელთან (როგორც ობიექტთან) იხმარება შესიტყვებაში: იარაღის (თოფის, ისრის) გაკეთება; საჭმლის (სადილის...) გაკეთება; ბუდის, სოროს, ფულუროს გაკეთება... გვხვდება ეს ზმნა მყარ გამოთქმებშიც: გულის გაკეთება, ნემსის გაკეთება, წვერის გაკეთება, საქმის გაკეთება...

დროთა განმავლობაში გააკეთებს ზმნას იმდენად გაუფართოვდა მნიშვნელობა, რომ, გარდა კონკრეტული საგნების აღმნიშვნელი სახელებისა, იგი დაუკავშირდა აბსტრაქტულ სახელებსა და, განსაკუთრებით, ნაშენარ სახელებს — საწყისებს. ეს გარკვეულწილად ახალი, საერთაშორისო ტერმინების შეთვისების პროცესს უკავშირდება უშუალოდ და მათგან მოქმედების გამომხატველ ფორმათა შექმნის საჭიროებითაა გამოწვეული. ისეთ სიტყვებს, როგორცაა ორგანიზაცია (აგრეთვე ორგანიზება), რეალიზაცია (რეალიზება), მობილიზაცია (მობილიზება), დემონსტრაცია (დემონსტრირება) და მრავალი სხვა, უჭირთ ქართულში პირიანი ფორმების წარმოება (შდრ. ამ მხრივ რუსული: организует, реализует, мобилизует). ამიტომ ეს სიტყვებიც დილობენ ორგანული ფორმების ნაკლებობა აღწერითი ფორმების წარმოებით შეივსონ, რისთვისაც იყენებენ მაქსიმალურად ნეიტრალური სემანტიკის მქონე ზმნას გააკეთებს.

ამჟამად შექმნილი შესიტყვებები არსებითად წიგნის ენისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ეს ზმნა ახლა ძალზე ხშირად იხმარება არამარტო საერთაშორისო სიტყვა-ტერმინებთან, არამედ მრავალ ეროვნულ სიტყვასთანაც — როგორც ტერმინოლოგიური, ისე ჩვეულებრივი, „ყოფითი“ ხასიათის სიტყვებთან. მაგ.: რეალიზაციას გაუკეთებს, ანგარიშს გააკეთებს, მოხსენებას გააკეთებს, რეაგირებას გაუკეთებს, განაცხადს გააკეთებს, წუთშესვენებას გააკეთებს, ორგანიზაციას გაუკეთებს, დემონსტრირებას გააკეთებს, მობილიზებას გაუკეთებს, ახფადტს გააკეთებს, დახასიათებას გააკეთებს, სასწაულს გააკეთებს, ხენსაციას გააკეთებს, კარიერას გაიკეთებს, მარაგს გაიკეთებს, ბოროტებას გაუკეთებს. გააკეთებს ზმნის პოპულარობის ზრდას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ძველი ქართულიდან მოყოლებულმა ტრადიციამ კეთება ზმნის

სინონიმური **ყავ/ყოფ** ზმნების საშუალებით ამგვარი ფორმების წარმოებისა (შდრ.: **ღაღადყოფს, ცხადყოფს** და მისთ.), მეორე მხრივ, რუსული ენის გავლენამ, სადაც (с) **делать** ზმნამ მრავალი გამოთქმა აწარმოვა (**сделать открытие, сделать заявку, сделать доклад** და მისთ.).

ამიტომ რიგ შემთხვევაში **გააკეთებს** ზმნაზე უარის თქმა შეუძლებელიცაა და გაუმართლებელიც. იგი კიდევ მრავალ ანალ ტერმინს დასჭირდება აღწერითი პირიანი ფორმების საწარმოებლად. მაგრამ ყველა ნაკლები ფორმის ამ ზმნით შეესება ანდა საერთოდ ფართოდ კარის გაღება მისთვის არ იქნებოდა მიზანშეწონილი, როცა ენას საამისოდ სხვა, უფრო ბუნებრივი (ტრადიციული) საშუალებები მოეპოვება — როგორც ცალკე ზმნის, ისე მთელი კონსტრუქციების სახით; ეს საშუალებები სხვადასხვაგვარად უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა ტიპობრივ შემთხვევაში.

ა. **რეალიზაციას გაუკეთებს**. ზმნური ნაწილის შესანაცვლებლად უფრო ბუნებრივია **გაუკეთებს** ზმნის სინონიმური და ტრადიციული **ყავ/ყოფ** ზმნა ან **მოახდენს**. ზოგ შემთხვევაში კი საჭირო ხდება მთელი შესიტყვების შეცვლა: „ქარხნის კოლექტივმა ივალდებულა ზეგეგმით **რეალიზაცია გაუკეთოს** 1000 მანეთის პროდუქციას [უნდა იყოს: ზეგეგმით 1000 მანეთის პროდუქციის რეალიზაცია]“ („ახ. კომ.“); „ამ პროდუქციის ნაწილს გადაწყვიდელების საშუალებით **უკეთებდა რეალიზაციას** [უნდა იყოს: ასაღებდა]...“ („ჭიათ. მაღ.“).

ბ. **მოხსენებას** (ინფორმაციას, ანგარიშს...) **გააკეთებს**. ეს შესიტყვება ამჟამად ფართოდაა გავრცელებული ქართულ სიტყვათხმარებაში, თუმცა მისთვის მხარის დაჭერა ვაჭირდებოდა. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მისი შენაცვლება ამგვარი შესიტყვებებით: **მოხსენებით გამოვა** (შდრ.: სიტყვით გამოვა), **მოხსენებას წაიკითხავს, ანგარიშით** (ინფორმაციით) **წარდგება, ანგარიშს** (ინფორმაციას) **წარუდგენს** (წაიკითხავს) და სხვ. შდრ.: „...არგენტინის ხაკრების მწვრთნელმა სესარ ლუის მენოტიმ **მოხსენება გააკეთა** [უმჯობესია: მოხსენებით გამოვიდა] ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სსდომაზე“ („ლელო“); „...**ანგარიში გააკეთა** უბნის ინსპექტორებმა [უმჯობესია: ანგარიში წარადგინეს ინსპექტორებმა, ან: ანგარიშით წარდგენნ ინსპექტორები]“ („ახ. კომ.“).

თუკი ინფორმაცია ზემოთ ხასიათისაა, მიზანშეწონილია სათანადო გამოთქმის შენაცვლება რომელიმე ამ სიტყვით: **მოახსენა, ამცნო, აცნობა**, ან გამოთქმით — **ინფორმაცია მიაწოდა** (შდრ.: „...შარკინმა ინფორმაცია გამოკეთა, რომ ისინიც ერთ კვირაში დაამთავრებენ სამუშაოს“, — ნ. ძოწ., თარგმ.).

გ. მობილიზებას (დემონსტრირებას, რეაგირებას...) გააკეთებს. უცხოური წარმოშობის საწყისურ ფორმებთან უფრო ბუნებრივია მოახდენს ზმნის შეხამება. შდრ.: „... მან თითქოს ყველას მობილიზება გაუკეთა [უნდა იყოს: მოახდინა]“ (ნ. ძოწ., თარგმ.); „...დღეს ჩვენ დემონსტრირებას ვუკეთებთ [უნდა იყოს: ვახდენთ, ან: ჩვენ ვუჩვენებთ] საბჭოთა მოქადრაკეების ყველაზე ახალგაზრდა თაობის თამაშს...“ („სამშ.“); „...მახარაძის რაიკომის ბიურომ კრიტიკული მასალის გამოქვეყნების მეორე დღესვე... რეაგირება გაუკეთა [უნდა იყოს: მოახდინა, ან უმჯობესია: მიიღო სათანადო ზომები]“ („სოფლ. ცხოვრ.“).

გაკეთებს (გაუკეთებს) ზმნის მონაწილეობით შექმნილ უმართებულო შესიტყვებათა ყველა კერძო შემთხვევის გათვალისწინება და განზოგადება შეუძლებელია, ამიტომ ცალკეული შეცდომა-უზუსტობანი ინდივიდუალური წესით უნდა გასწორდეს. მაგ.: „ერთმანეთში ბედნიერად შერწყმულმა უდიდესმა ნიჭმა და უდიდესმა შრომისმოყვარეობამ სასწაული გააკეთეს [უნდა იყოს: მოახდინეს]“ („კომ.“); „ოთხ კილომეტრზე გაკეთდა [აჯობებდა: ოთხ კილომეტრზე დაგებული || მოსწმული] ახფალტი“ („ლენინელი“); „ლექცერმა სწრაფად გაიკეთა [უმჯობესია: შეიქმნა] სამხედრო კარიერა“ (თ. იაშვ., თარგმ.); „თვითეული მოსწავლის გამოძახებისას იგი ამ მოსწავლის მოკლე დანახიათებას აკეთებდა [უმჯობესია: მოკლედ ახასიათებდა]“ (ნ. დუმბ.). „ამ ყირგიზზე იმიტომ გწერ, არ გეგონოს, რომ მართო მე მიკეთებენ [აჯობებდა: მაძლევენ] შეღავათს“ (ნ. ქართვ., თარგმ.); „დინამოელთა მწვერთნელმა... ვარჯიშის დროს წუთშესვენება გააკეთა“ [სწორია: გამოაცხადა, ან: აიღო] („ახ. კომ.“); „მისმინე, მე არ მინდა ბოროტება გაუკეთო [უმჯობესია: ბოროტება ვუყო, ან: ვუმტრო] მოხუცს“ (გ. შალამბ., თარგმ.).

**განაღებებს; განაღებება, განაღებულნი.** ზმნა განაღებებს ნაღ-სახელის ფუძისაგან არის ნაწარმოები და მისი პირდაპირი მნიშვნელობაც ამავე ფუძის მნიშვნელობისაგან გამომდინარეობს. არსებობს გამოთქმა ნაღდი ფული, რომლის მნიშვნელობაა: ისეთი ფული, რომელიც ნამდვილად აქვთ, ხელზე აქვთ. ამის საპირისპირო მნიშვნელობები აქვთ ნისია, თამასუქ-ფუძეებს. ნისიას ანაღებენ, ე. ი. ნაღდი ფულად აქცევენ (ვალს, კრედიტის სახით წაღებული საქონლის საფასურს ნაღდი ფულად უბრუნებენ); თამასუქს ანაღებენ, ე. ი. ვალის ხელწერილს გამოართმევენ და ნაღდი ფულს მისცემენ. ალედან გამომდინარეობს გამოთქმა: ვალს ანაღებენ (განაღებებს), ვალის განაღდება... უკანასკნელ ხანებში განაღებებს ზმნამ და მისგან ნაწარმოებმა ფორმებმა მნიშვნელობები მეტისმეტად გაითვართოვეს და გადატანითი

მნიშვნელობები გაიჩინეს; ამასთანავე, ისინი სხვა სიტყვებს დაუკავშირდნენ, სინტაგმებში სხვა სიტყვებს შეენაცვლნენ და ენაში (განსაკუთრებით, პრესის ენაში) უმართებულო გამოთქმები მომრავლდა. მივიღეთ:

**ვალდებულებას გაანადღებს:** „...მევენახეები, მებოსტნეები თავს არ შეირცხვენ და ვალდებულებას პირნათლად გაანადღებენ“ („კომ.“); „სასახელოდ რომ გავანადღოთ... ვალდებულებანი, საჭიროა ავამოქმედოთ არსებული რეზერვები“ („განთ.,“ ვანი); „ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით გაანადღა“ („გამარჯვ. დრ.“).

**გეგმას (გეგმებს) გაანადღებს:** „გადაჭარბებით ანადღებს გეგმებს“ („თბილ.“); „პირნათლად გაანადღეს ტყის კულტურების გაწინებისა და გახარების გეგმა“ („საქ. ბუნ.“); „მან ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 250 პროცენტით გაანადღა“ („განთ.,“ ვანი); „გადაჭარბებით გაანადღა სინჯელშიფოთსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმა“ („გამარჯვ. დროში“); „კოლმეურნეობამ... წლიური გეგმა ედაზე ორი თვით აღრე გაანადღა“ („თბილ.“); „დღეისათვის გეგმა დიდი გადაჭარბებითაა გაანადღებული“ („საქ. ბუნ.“).

**დავალებას გაანადღებს:** „...ორმაგად გაანადღეს ჩაის კრეფის დავალებანი“ („განთ.,“ ვანი); „გაანადღეს წლიური დავალება“ („კომ.“); „წარმატებით გაანადღეს ხუთწლედის მეორე წელიწადის დავალებებიც“ („თბილ.“); „აბრეშუმის პარკის დამზადების საგეგმო დავალება 200,5 პროცენტით... გაანადღა“ („კომ.“).

**პირობას გაანადღებს:** „ამ პირობას წარმატებით ანადღებენ ისინი“ („ლენ. გზით“); „ახალგაზრდობა პირობას ანადღებს“ („ახ. კომ.“).

**ნდობას, პატივს გაანადღებს:** „არ დავზოგავ ენერჯიას, რათა საქმით გავანადღოთ ეს დიდი ნდობა და პატივი“ („განთ.,“ ვანი).

**ნორმას გაანადღებს:** „დღიური ნორმის გადაჭარბებით განადღება აღუთქვეს კრებას“ („თბილ.“); „დღიურ ნორმებს ორმაგად ანადღებენ“ („ლენ. გზით“).

**პროგრამას გაანადღებს:** „ძირითადად გაანადღა მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების დისახული პროგრამა“ („გამარჯვ. გზით“).

**ხუთწლედს გაანადღებს:** „ხუთწლედის განადღებულობა“ (სათაური — „თბილ.“); „...რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლედის ვადამდე და გადაჭარბებით განადღებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია“ („საქ. კომ.“).

**ამოცანას გაანადღებს:** „ვეცდებით პატიოსნად შევასრულოთ ყველა ვალდებულება და ჩვენი წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განადღებაში“ („კომ.“).

და შემდეგ: წინასწარდასახულობათა განაღდება, მიზანდასახულობათა განაღდება, მედლის განაღდება, პირველი ადგილის განაღდება, ჩემპიონობის განაღდება, ფინალისტობის განაღდება, ზრახვების განაღდება, უმრავლესობის განაღდება პარლამენტში და ა. შ.

ყველა შემთხვევაში გაანაღდებს, განაღდება, განაღდებაული და ა. შ. ფორმები ბუნებრივ სინტაგმებში ცვლიან ბუნებრივ სიტყვებს, როგორცაა: შესრულება, უზრუნველყოფა, განხორციელება და მათთან დაკავშირებული ფორმები, და ქმნიან სინტაგმებს, რომლებშიც სიტყვები სინტაქსურად კი სწორადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ აზრობრივად და მნიშვნელობის მხრივ კი — ვერა!

უნდა იხმარებოდეს: ვალდებულებების, გეგმის, დავალების, პირობის, ნორმის, პროგრამის და მისთ. შესრულება; ამოცანის გადაწყვეტა; პირველი ადგილის, მედლის, ჩემპიონობის, ფინალისტობის მოპოვება ან უზრუნველყოფა (კონტექსტის მიხედვით), ზრახვების განხორციელება, უმრავლესობის უზრუნველყოფა პარლამენტში და ა. შ.

**ბაბატარმბს** ზმნის ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები, ჩვეულებრივ, აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელ სახელებთან შეხამებისას იჩენს თავს. იხ. ატარებს — 2.

**ბაბაჩნია**. ქართულში არსებობს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა, რომლებიც, ჩვეულებრივ, უქონლობის გამოსახატავად უფრო იხმარება, ვიდრე მქონებლობისა. ეს ზმნებია: გააჩნია, მოეპოვება, მოექვევება, აბადია... უარყოფით ნაწილაკთაგან ისინი მხოლოდ არ ნაწილაკს ივლებენ: არ გააჩნია, არ მოეპოვება, არ მოექვევება, არ აბადია...

ამ ზმნებით გამოხატული მქონებლობა იმდენად მცირეა, კნინია, რომ თითქმის უქონლობას უტოლდება. ამიტომ ეს ზმნები დადებითი შინაარსით, უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, იშვიათად იხმარება და, თუ იხმარება, ისიც მხოლოდ კითხვით რა ან განუსაზღვრელ რაიმე ნაცვალსახელთან (რომელიც კითხვის, ეჭვის ქვეშ აყენებს რისამე ქონებას) ანდა სიტყვის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად (შდრ.: იმას რა გააჩნია, რა მოექვევება... თუ რამე აბადია, თუ რამე მოეპოვება... ცოტა რამ მოექვევება...).

მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყოველთვის არ არის ვათვალისწინებული ამ ზმნების სტილისტიკური თავისებურება. განსაკუთრებით ხშირია დარღვევები გააჩნია ზმნის ხმარებისას, აქ ორი მომენტი იქცევა ყურადღებას:

1. გააჩნია ზმნას ხმარობენ დადებითი შინაარსით. ასეთ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა უტოლდება აქვს, ჰყავს ზმნათა სემანტიკას: „გავავრცელოთ მდიდარი გამოცდილება, რაც ამ მხრივ ინგირისა და

ლაითურის საბჭოთა მეურნეობებს გააჩნიათ [უნდა იყოს: აქვთ]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ქართველ ხალხს გააჩნია [უნდა იყოს: აქვს] უდიდესი ნიჭი—მისცეს ქვეს სიცოცხლე“ (ს. კლდ.); „კოლხიდა“ წარმოადგენს მოთბობას, რომელსაც გააჩნია [უნდა იყოს: აქვს] განვითარებული სიუყვეტი...“ („სოფლ. ცხოვრ.“); „კაბინეტს გააჩნია [უნდა იყოს: აქვს] თანამედროვეობის გამოჩენილი მსახიობების შესრულებით შექსპირის ყველა ნაწარმოების გრამჩანაწერები“ („ლიტ. საქ.“); „ყველაზე კარგი, რაც ადამიანს გააჩნია [უნდა იყოს: აქვს] თავის ცხოვრებაში, ეს არის შესაძლებლობა სიყვდილისა, როცა მოგესურვება“ (თ. ნატრ.); „გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კარი ღიაა ყველა ახალგაზრდისათვის, ვისაც გააჩნია [უნდა იყოს: აქვს] ცოდნისა და შრომის სურვილი“ („გამარჯვ.“); „ქიმიის ფაკულტეტი უნივერსიტეტსაც გააჩნია [უნდა იყოს: აქვს]“ („საბჭ. ხელ.“); „ახლა უკვე მას შესანიშნავი ახალი შენობა გააჩნია [უნდა იყოს: აქვს]“ („საბჭ. ხელ.“); „სახელმძღვანელოს მრავალი ღირსება გააჩნია [უნდა იყოს: აქვს]“ („საქ. ბუნ.“); „საბჭოთა კავშირს ტრადიციულად მუსიკოსთა ძლიერი ჯგუფი გააჩნია [უნდა იყოს: აქვს]“ („საბჭ. ხელ.“); „იაკობ ბოთერაშვილს საცესებით გააჩნია ბევრი კარგი თვისება [უნდა იყოს: აქვს, ან: შემკულია ბევრი კარგი თვისებით]“ („წინსვლა“); „მწერლის მხატვრული ოსტატობის კვლევისადმი [კვლევაზე!] ყურადღების გამახვილებას გააჩნია [უნდა იყოს: აქვს] კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი“ („ქელ სკოლაში“); „სამხრეთ ამერიკის ქალაქებიდან ერთადერთი ბუენოს-აირსია, რომელსაც მეტრო გააჩნია [უნდა იყოს: აქვს]“ („ლულო“); „ზოგიერთ მათგანს საკუთარი საავადმყოფოც გააჩნია [უნდა იყოს: აქვს]“ („გამარჯვ. დროშა“)...

2. გააჩნია სიტყვისათვის მქონებლობის სიმცირე დამახასიათებელი სემანტიკური ნიშანია, ამიტომ არ გააჩნია ნეიტრალურ უქონლობას კი არ აღნიშნავს, არამედ იგი უქონლობის გამძაფრებული გამოხატულებაა. არ გააჩნია სემანტიკურად არ უდრის ნეიტრალური უქონლობის გამომხატველ გამოთქმებს — არა აქვს ან არა აქვს. უქონლობის სიმძაფრის გასაძლიერებლად არ გააჩნია გამოთქმასთან ერთად უქონლობა ხშირად ხაზგასმულია -ც, -ლა, კი ნაწილაკებითაც: „შენს მეტი აღარავენ გამაჩნია დედამიწის ზურგზე“ (ილია); „ზოგიერთ კოლმეურნეობას სასუქების შესანახი ფარდულიც კი არ გააჩნია“ („ივრ. განთ.“).

სრული უქონლობის ეს შინაარსი კარგად ჩანს იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როდესაც მართებულია გააჩნია ზმნის გამოყენება უარყოფითი ნაწილაკის ვარგშე: „თუმცა ვისურვებდი, რომ ეს მომთხოვნელობა, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ გააჩნდეთ“ („ახ.

კომ.“); „თქვენ ქალაქს სწირავთ ყოველივე საუკეთესოს, რაც გაგაჩნიათ, და ამიტომ სამართლიანად ხდებით მისი მოქალაქეები“ („კომ.“); „კრიტიკა უნდა მიიღო ან არ მიიღო. გააჩნია სამართლის ზომას“ („თბილ.“).

მაშასადამე, ნეიტრალური უქონლობის გამომხატველ წინადადებებში დასაწუნია არ გააჩნია შესიტყვების გამოყენების ამგვარი შემთხვევები: „გაზაფხულს მეტყველი ენა არ გააჩნია [უნდა იყოს: არა აქვს], მხოლოდ შარიშური და ჩურჩული იცის“ („ალ. გამყრ., თარგმ.); „საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ [უნდა იყოს: არა აქვთ] სასხლავი მანქანა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მაგრამ მთელი რიგი რაიონების მეურნეობებს არ გააჩნია [უნდა იყოს: არა აქვთ] კონდიციური თესლი“ („სოფლ. ცხოვრ.“); „რუნებს არ გააჩნდათ [უნდა იყოს: არა ჰქონდათ] ის ფუნქცია, რაც ნამდვილ მწერლობას უნდა გააჩნდეს [უნდა იყოს: ჰქონდეს]“ („უე სკოლაში“); „გერმანელებს შერვე საუკუნის II ნახევრამდე არ გააჩნდათ [უნდა იყოს: არა ჰქონიათ] წერის პრაქტიკა“ (იქვე); დედ-მამა არ გააჩნდა [უნდა იყოს: არა პყავდა], თანაც წელიწადში ოთხასი გირვანქა სტერლინგის საკუთარი შემოსავალიც მოეპოვებოდა [უმჯობესია: ჰქონდა]“ (ალ. გამყრ., თარგმ.). უკანასკნელ წინადადებაში არც მოეპოვებოდა არის მართებულად გამოყენებული: შემოსავალი, — მით უფრო, დიდი შემოსავალი — შეუთავსებელია მოეპოვებოდა ზმნასთან.

იგივე საკითხები დგება მოექცევა, აბაღია ზმნებთან დაკავშირებითაც. შდრ.: „საუბარი ხალხურ მედიცინაზე ჩამოვარდა, ასეთი მდიდარი ტრადიცია რომ მოექცევა [უნდა იყოს: აქვს] საქართველოში“ („თბილ.“); ან: „ქართველო ქალო, ის ფარ-ხმალი რად გადაყარე, ქართველო ქალო, იცი კარგად, რა გაბაღია?“ („ლიტ. საქ.“).

გაგვებით ეპიღებ (მოექიდება) რუსული с пониманием относится (отнесется)-ს პირდაპირი თარგმანია. მოქმედებით ბრუნვაში დასმულ ამ რიგის განყენებულ სახელებს, როგორცაა გადაჭრით, დაბეჯითებით, დიდებით, კმაყოფილებით, მაღლობით, პატივისცემით, წარმატებით, ხაზგასმით და მისთ., ქართული წინადადება თავისუფლად იყენებს ვითარების გარემოების ფუნქციით: გადაჭრით დაგმეს, დაბეჯითებით მოითხოვეს, დიდებით, მაღლობით, პატივისცემით მოიხსენიეს, კმაყოფილებით, ხაზგასმით აღნიშნეს, წარმატებით დაიცვეს და ა. შ.

ბოლო დროს ქართულ სალიტერატურო ენაში შესამჩნევად გაზარდა მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელთა ვითარების გარემოებად მოხმარების შემთხვევები: დაჩქარებით შეისწავლონ; სიცხადით უჩვენეს; შეშფოთებით, სისწორით აღნიშნეს; წარჩინებით დაეუფლა;



გამძაფრებით შეუყვარდა; მოწონებით წარდგა, ილაპარაკა და მისთ. ამათგან ზოგი შეიძლება დადგეს ზემოთ ჩამოთვლილ ბუნებრივ შესიტყვებათა გვერდით, როგორც შედარებით უკეთესი ვარიანტი წინადადებით ნაგულისხმევი აზრის გადმოსაცემად: „კონფერენციის დელეგატებმა შეშფოთებით აღნიშნეს, რომ ხუთწლედის დავალებას ჩამორჩება... წილისა და სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა“ („კომ.“). მაგრამ უმრავლესობა ამგვარად ნაწარმოები და ამავე ფუნქციით გამოყენებული სახელებისა უმართებულოდ ენაცვლება მსგავსი კონტექსტებისათვის შესაფერის, უფრო ბუნებრივ ზმნიზედებს: გულისხმეირად, ძალიან, ძლიერ, ღრმად, მძაფრად, სწორად, სწრაფად, ცხადად, ნათლად, ჩქარა და მისთ. ამიტომ სტილისტიკურ დახვეწას მოითხოვს შემდეგი წინადადებები: „მან განაცხადა, რომ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისადმი ასეთ მიდგომას გაგებით [უნდა იყოს: გულისხმეირად] ეკიდება და მხარს უჭერს იუგოსლავიის მხარე“ („კომ.“); „სასიხარულოა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში გაგებით [უნდა იყოს: სწორად ან მთელი პასუხისმგებლობით] აღიქვეს პარტიის ეს დამატებითი დავალება“ („კომ.“); „ჩვენი კანონი გაგებით [უნდა იყოს: გულისხმეირად] ეკიდება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველს“ („ახ. კომ.“); „ბევრმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას. ისინი გაგებით [უნდა იყოს: შეგნებულად] მიუდგნენ საფრთხეს...“ („თბილ.“); „მან ეს გასაკუთრი ნინათლით [უმჯობესია: ნათლად] დაამტკიცა“ („ცისკ.“); მათ სრული სიცხადით [უმჯობესია: ცხადად] უჩვენეს კინოკაქრაგების მუშაკთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება“ („თბილ.“); „...ამხანაგებმა სისწორით [უნდა იყოს: სწორად] აღნიშნეს ვორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული ნაკლოვანებების შესახებ“ („გამარჯვ.“); „...ნამდვილ ძეს არ შეუყვარდება ჩვენი თვისება ისე გამძაფრებით [უნდა იყოს: ძალიან, ძლიერ, მძაფრად], როგორც განსვენებულს უყვარდა“ („ცისკ.“)...

ამგვარ შესიტყვებათა ერთ ნაწილში მხოლოდ მართებული ზმნისართის ჩანაცვლება ვერ შევლის საქმეს — მთლიანად წინადადება შესაცვლელი. მაგ.: „მათ დაჩქარებით უნდა შეინიწავლონ [უმჯობესია: მათ უნდა დააჩქარონ... შესწავლა] და წარმოადგინონ წინადადება... ტყის გაშენების შესახებ“ („საქ. ბუნ.“); „მის სურათში ცოტაა ამბები, მაგრამ ბევრია აზრი და სწორედ ეს აზრები გვაძიებულებენ დამაბვით ჩაფიქრებას [უმჯობესია: ღრმად ჩაუფიქრდეთ მათ]“ („ახ. კომ.“); „მან მოწონებით ილაპარაკა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე [უნდა იყოს: კმაყოფილება გამოთქვა... გაუმჯობესების გამო]“ („კომ.“); „კონცერტის დისასრულს მყუდობელთა წინა-

შე დიდი მოწონებით წარდგა სოლისტი... [უნდა იყოს: მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა სოლისტმა...]" („გამარჯვ. დროში“).

**გადასურმაპის.** გადა- რთული ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა მიუთითოს მოქმედების ხელმეორედ შესრულებაზე, განმეორებაზე — იმავე ას სხვა სუბიექტის მიერ. მაგრამ გადა- პრევერბის ეს ფუნქცია ქართულისათვის ორგანული არ არის და იგი ამ ზმნურ ელემენტს ფაქტობრივად რუსული ენის გავლენით განუვითარდა: იმის გამო, რომ ბევრ შემთხვევაში რუსული пере- ზმნისწინი ქართულად სრულყოფილად გადმოიყვება გადა- ზმნისწინით (ძირითადად, მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში), пере- და გადა- ზმნისწინები გაიგივებულ იქნა და ქართული პრევერბი მოქმედების განმეორების აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული სათანადო რუსული ზმნების ქართულად გადმოცემისას. მაგ.: перепечатать — გადაბეჭდვა, перегруппировать — გადაჯგუფება, переоценить — გადაფასება და მისთ.

მაშასადამე, აღნიშნული ფუნქციით გამოყენებული გადა- ზმნისწინიანი ფორმები სათანადო რუსული ზმნების კალკებს წარმოადგენს. ამ ფუნქციით გადა- ზმნისწინის ფართოდ გამოყენება იოანე ბაგრატიონის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც თავის ხელნაწერ ლექსიკონში ამგვარი ხელოვნური, კალკირებული ფორმები მრავლად შეიტანა, თუმცა მათგან ბევრი არც დამკვიდრებულა ქართულში. საპირისპირო ენობრივ ტენდენციებს ატარებდნენ ამ მხრივ ნიკო და დავით ჩუბინაშვილები თავიანთ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში: მათ საერთოდ უარი თქვეს მოქმედების განმეორების ფუნქციით გადა- ზმნისწინის გამოყენებაზე.

არც ერთი ამ უკიდურესი ენობრივი პოზიციის გამართლება არ შეიძლება: გადა- ზმნისწინის გამოყენება ახალი ტერმინების საწარმოებლად სრულიად გამართლებულია, მაგრამ სხვა შემთხვევაში — არატერმინოლოგიურ გამოთქმებში, ბუნებრივ ენაში ტრადიციულ და ბუნებრივ გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებს უნდა მიენიჭოს გადასწვეტი უპირატესობა.

ქართულში გადა- ზმნისწინის შემოაღნიშნული ფუნქციით გამოყენებას ბუნებრივ გამოთქმებში, ჩვეულებრივ, არც მიმართავენ. ამისათვის ენას აღწერითი საშუალებები მოეპოვება, კერძოდ, ზმნისართები: ხელახლა, ხელმეორედ, კვლავ, ისევ, განმეორებით და სხვ.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ზებირ მეტყველებასა და — აქედან — სალიტერატურო ენაშიც თავი იჩინა пере-ზმნისწინიანი ზოგიერთი ზმნის კალკირებულმა ფორმებმა მოქმედების განმეორების აღსანიშნავად. ერთ-ერთი ამგვარი ყველაზე გავრცელებული კალკია ზმნა გადა-რეკვა (ტელეფონით). შდრ, რუს. перезвонить, რომელიც ქმნის სხვა-

დასწავა უარიაციებს ირიბ ობიექტთა ცვლასთან დაკავშირებით: **გადმო-  
გირეკავ, გადავურეკავ, გადმოშირეკე, გადაურეკე, გადაურეკავს** და  
ა. შ. და ეს კალკირებული ზმნური ფორმები დასტურდება არა მარტო  
პერსონაჟთა მეტყველებაში (რაც დასაშვებია გარკვეული სტილური  
მიზნებით), არამედ ავტორისეულ თხრობაშიც. შდრ.: „ნუ დამახრჩვეო  
კაცი, ახლავე **გადავურეკავ** [სწორია: (ხელმეორედ) **დავურეკავ**], ვი-  
შოვოთ...“ („ახ. კომ.“) და: „არის ტელეფონებით რეკვა და **გადარეკვა**  
[აჯობებდა: გაუთავებელი რეკვა]“; „კვირას შინ **გადაურეკა** [დიალექ-  
ტიზმია! უნდა იყოს: **დაურეკა**]... საქმიანი სიტყვა მომენატრა“  
 („ლულო“). უკანასკნელ მაგალითში კვირადღის სხენება კვლავ, ისევ  
ზმნისართების დართვას საჭიროს აღარ ხდის.

ამგვარი ფორმების ხმარება სალიტერატურო ქართულში (და ზე-  
პირ მეტყველებაშიც!) შეუწყნარებელია, როგორც ენობრივი სისტე-  
მით გაუმართლებელი და სიტყვათხმარების ტრადიციით განუმტკიცე-  
ბელი. მაგრამ მათს უკუსაგდებად სხვა მიზეზიც არ არის ნაკლებ მნი-  
შვნელოვანი: **გადმოგირეკავ, გადმოშირეკე** და მისთ. ფორმები სინამ-  
დვილში იმ ფუნქციას კი არ ასრულებენ, რაც მათ ხელოვნურად აქვთ  
დაკისრებული, არამედ უფრო ხშირად ისინი საურთიერო მოქმედე-  
ბის ერთმანეთთან დარეკვის აღსანიშნავად არიან მოწოდებულნი.  
მაგალითად, **გადმოშირეკე** ფაქტობრივ ნიშნავს: ახლა ხომ მე გირეკავ,  
მერე შენ დამირეკე (და არა აუცილებლად: ისევ შენ დამირეკე); ასევე:  
**გადავურეკავ** გულისხმობს: ამჟამად ჩვენ (მე და შენ) ვლაპარაკობთ,  
შემდეგ კი მე სხვას დავურეკავ. მაშასადამე, **გადა-** ზმნისწინით ნაწარ-  
მოებ ამ ფორმებს ცალსახა მნიშვნელობა არა აქვთ, ბუნდოვანია, ზუს-  
ტად ვერ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ფუნქციას. ამიტომ მით  
უფრო უკუსაგდება ასეთი ფორმები.

ენიდან მოქმედების განმეორება ქართულში ძირითადად აღწე-  
რითი საშუალებებით გამოიკვემა, მათთან ერთად **გადა-** ზმნისწინის  
გამოყენება ზოგჯერ ტავტოლოგიურ შესიტყვებას იძლევა. მაგ.: „და  
ეს ისეთი კატეგორიული და ნაწყენი ტონით იყო ნათქვამი, თითქოს მე,  
ახლა, ორმოცდასამი წლის წინათ მომხდარი სხვისი არჩევანის **ხელ-  
ახლა** [ზედმეტია] **გადათამაშებას** ვაპირებდი!“ („თბილ.“).

**გადაპირით** ზმნისართი მიღებულია მოქმედების სახელისაგან **გა-  
დაპირა** და ნიშნავს: მტკიცედ, გადაწყვეტით, უყოყმანოდ, დაუეჭვებ-  
ლად, კატეგორიულად: „ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთ — **გადაპირით**  
უპასუხა სპირიდონმა“ (ნ. ლორთქ.); „ღირსეულად დახვდა თედო თა-  
ვის სიმამრს... მაგრამ **გადაპირით** უთხრა...“ (რ. ქორქ.); „**გადაპირით**  
შეიძლება ითქვას, ამაზე არაეის უზრუნია“ („ლიტ. საქ.“); „დედო-  
ფალმა ამაზე **გადაპირით** უარი თქვა“ („კომ.“).

მართალია, ზმნისართი გადაჭრით ხშირ შემთხვევაში სინონიმური მტკიცედ, გადაწყვეტით, საგრძნობლად და ა. შ. ზმნისართებისა, მაგრამ იგი ყოველთვის მათ შემცველად ვერ გამოდგება, რადგან, როგორც ენაში სხვა შემთხვევაშიც ხდება, სინონიმურ სიტყვებს, განსხვავებული სემანტიკური ელფერისა თუ ტრადიციის გამო, გარკვეულ ზმნებთან აქვთ დამკვიდრებული ადგილი და თავისუფლად ვერ ენაცვლებიან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ზოგჯერ სათანადო ანგარიში არ ეწევა სიტყვათწმარების ამ თავისებურებას და გადაჭრით გამოიყენება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ამა თუ იმ ზმნას დასახასიათებლად სხვა ზმნისართები უფრო შეეფერებოდა. მაგალითად: „გადაჭრით [უნდა იყოს: მნიშვნელოვნად, არსებითად...] გავაუმჯობესოთ ტელეფონების მუშაობა“ („კომ.“); „ამჟამად მიმდინარეობს რთობიანი ბინის მშენებლობა, რაც გადაჭრით [უნდა იყოს: აუცილებლად, უეჭველად...] უნდა დაჩქარდეს“ („ახ. ცხოვრ.“); „მუშათა კლასს [იგი] მოუწოდებდა გადაჭრით [უნდა იყოს: მტკიცედ, უყოყმანოდ] დაეჭირა მხარი კოლონიური ხალხებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ („ახ. ისტ.“ IX); „ისინი თავიანთ სოციალ-შოვინისტებს ებრძვიან გადაჭრით [უნდა იყოს: მტკიცედ ებრძვიან...]“ („ახ. ისტ.“ IX); „მათიველი ჰქონდათ ომით შექმნილი ვითარება გამოეყენებინათ... ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაჭრით ჩახშობისათვის [უნდა იყოს: საბოლოოდ... ჩასახშობად]“ („ახ. ისტ.“ IX)...

იშვიათად ენაში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნისართი გადაჭრით საერთოდ უადგილოდ არის წინადადებაში გამოყენებული. მაგალითად: „ამას[ ] დისკუსიის მონაწილეებმა გადაჭრით იაზი გაუსვეს“ („თბილ.“). ხაზს უსვამს ნიშნავს: ყურადღებას ამახვილებს რამეზე, საგანგებოდ აღნიშნავს რამეს და ამგვარი მნიშვნელობის მქონე მყარი გამოთქმის დასახასიათებლად გადაჭრით ზმნისართის ხმარება მხოლოდ გაუგებრობაა.

**გადიდდება** არის გადიდება (=დიდს გაზღის, გაზრდის) ზმნის ვნებითი გვარის ფორმა; ნიშნავს: დიდი გაზდება, გაიზრდება (საპირისპირო შინაარსის ზმნებია: დაბატარავდება, შემცირდება). დასახელებული ზმნა სწორადაა ნახმარი, თუ მასთან შესიტყვებაში შემავალი მეორე სახელით ისეთი საგანი აღინიშნება, რომლის გაზრდა (გადიდება) შესაძლებელია მოცულობის თვალსაზრისით: გადიდდა ოთახი, გადიდდა გამოქვაბული, გადიდდა წრე, გაუდიდდა თვლები, გაადიდეს სურათი და მისთ. მაგრამ თუ გადიდება გულისხმობს კონკრეტულად გამობატურირების გაზრდას ან კონკრეტული საგნების (მოვლენების) გამრავლებას, მაშინ უფრო ბუნებრივი და მართებულია (გა)იზრდება, (გა)მრავ-

ლდება ზმნების გამოყენება. (შდრ.: „ამავე დროს ვზარდეთ და ვზარდეთ საქალაქო ღონისძიებათა რიცხვი“ — „თბილ.“).

ამიტომ არ არის სწორად შედგენილი შემდეგი წინადადებები: „1972 წელს საფრანგეთის მოსახლეობა 430 ათასი კაცით გადიდა [უნდა იყოს: გაიზარდა]“ („ისგ სკოლაში“); „გადიდება [უნდა იყოს: გაიზარდება]... თვითმფრინავების რიცხვი“ („საქ. აგიტ.“); „გენერალი... მოითხოვს, რომ ამერიკის ჯარების რიცხვი ამ ქვეყანაში მომავალ წელს გადიდონ [უნდა იყოს: გაზარდონ]“ („თბილ.“); „თითქმის მეოთხედით გააღიდე [უნდა იყოს: გაზარდეს] რა საწარმოო პერსონალის რიცხვი, აქ ამავე დროს შეამცირეს პროდუქციის გამოშვება“ („კომ.“). „არ შეგვიძლია გადავადგილოთ წინადადების წევრები, გავადიდოთ [უნდა იყოს: გავზარდოთ] ან შევამციროთ წინადადების წევრთა რაოდენობა“ (უფ სკოლაში“); „გადიდდა... ფრინველისა და ღორის სულადობაც [უნდა იყოს: გაიზარდა... სულადობაც, ან: მოიმატა... სულადობამაც]“ („გამარჯვ. გზა“); „აგერ რიონი ეეშაად რომ გადაიქცა, ცოდვის გადიდების [უნდა იყოს: ცოდვის გამრავლების] ბრალია“ (ა. გეწ.) და ა. შ.

თანამედროვე პრესის ენაში გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, ღღესღღეობით ქართული ენისათვის თითქოს ბუნებრივად მიიჩნევა გადიდება და გაიზარდება ზმნების პარალელური ხმარება ისეთ შესიტყვებაში, რომლის მეორე წევრი აბსტრაქტულ სახელთა -ება სუფიქსითაა ნაწარმოები: ვალდებულება, ნაყოფიერება, დაბანდება, გამოშვება, წარმოება, გამომუშავება და მისთ. შდრ., ერთი მხრივ: „მივალწიოთ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითს გადიდებას ერთი პროცენტით“ („კომ.“); „საქართველოს მშრომელებმა... შეასრულეს ხუთწლედის მეორე წლის საგეგმო დავალებანი და გადიდებული ვალდებულებანი“ („ლიტ. საქ.“); „პროდუქციის გამოშვებას გააღიდე მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე“ („ქართ. ლიტ.“, VII); „ბამბეულის ხამი ქსოვილების წარმოება გადიდდება 5.7 პროცენტით“ („საქ. აგიტ.“); „...მუშაკთა საშუალო გამომუშავება... 4 პროცენტით გადიდა“ („ქართ. ლიტ.“, VII)... და, მეორე მხრივ: „ავამოქმედოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვი“ („კომ.“); „სწორედ კონკრეტულმა შემოქმედებითმა მუშაობამ უნდა შეუწყოს ხელი საწარმოს ამ გაზარდილ ვალდებულებათა დროულად განაღდებაში“ („თბილ.“); „მუშაკთა და დანახარჯების ოდენობის შემცირება... მუშაკთა საშუალო გამომუშავების ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია“ („კომ.“); „კაპიტალური დაბანდება... იზრდება 10 პროცენტით“ („საქ. აგიტ.“)... უპირატესობა ალბათ ამ უკანასკნელი ტიპის შეხამებას უნდა მიენიჭოს.

**გაემგზავრება, მიემგზავრება.** ზმნა **გაემგზავრება** (გაემგზავრა, გამგზავრებულა) ნიშნავს: გზას გაუდგება, გზად წავა, მაგ.: „მაგდანა ქალაქისაკენ **გაემგზავრა**“ (ეკ. ვაბ.). ღრო-კილოთა აწმყოს ფორმებს ამ ზმნას იმავე ფუძისაგან **მი-** ზმნისწინით ნაწარმოები **მიემგზავრება** უვსებს. **მიემგზავრება** ნიშნავს: გზად მიდის, მიემართება, მაგ.: „მხედრებს აშკარად ეტყობოდათ, რომ... სამტროდ არ **მიემგზავრებოდნენ**“ (ა. ყაზბ.) (განმარტებებისა და ილუსტრაციებისათვის იხ. ქველ.).

აქ საილუსტრაციო მასალაში გადმოცემული მოქმედება ჩვენი თანამედროვის თვალთ არის დანახული. ვინაიდან ის **მანძილი**, რომელსაც მაგდანა გადის თავისი სოფლიდან ქალაქამდე, ასევე ის **გზა**, რომელიც ცხენოსნებს უღევთ წინ, დღევანდელ პირობებში არ შეიძლება იყოს შორი, ამიტომ განმარტებაში დაიკარგა ის აუცილებელი შინაარსობრივი ნიუანსი სიშორისა, რომელიც **გაემგზავრება, მიემგზავრება** ზმნათა საწარმოებლად აღებულ **გზა (მგზავრ-)** ფუძეში ძევს. **გზა** ხომ, ჩვეულებრივ, ორ დაშორებულ პუნქტს აკავშირებს (შდრ. **მგზავრობა**, რომელიც ქველ-ის მიხედვით, შორ გზაზე რიმიოსვლას ნიშნავს).

ილუსტრირებულ ნაწარმოებთა პერსონაჟებს — მაგდანასა და ცხენოსნების — **გზა** იმ დროს შორი და ძნელი იყო და ისინიც ამ **გზაზე მიემგზავრებოდნენ**. შდრ. გ. ქალაღიდელის ერთი ცნობილი ლექსის სათანადო ადგილი: „მაშინ ანზანი მომცეს მე ხელში და შორსა გზასა მე **გამამგზავრეს**“. ეს შორი **გზა**, რომელსაც სასწავლებელში მიმავალი უმაწვილი გაუყენეს, ალბათ, სოფლიდან უახლოეს ქალაქამდე მანძილს არ აღემატებოდა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ **გამგზავრებად** ითქმოდა ერთი სოფლიდან მეორეში, ქალაქიდან სოფელში, ტფილისიდან პეტერბურგში წასვლა. რადგან დღევანდელ სატრანსპორტო პირობებში შეიძლება სიშორის ცნება, ამ და მსგავს კონტექსტებში **მიემგზავრება, გაემგზავრა ზმნები** არ იხმარება. მათ დაუბრკოლებლად ცვლის **მიდის** და **წავიდა**: სოფელში, ქალაქში, მოსკოვში, ელადიფოსტოკში, უცხოეთში... **მიდის, წავიდა**.

რაც შეეხება **მიემგზავრება, გაემგზავრა ზმნებს**, მათი გამოყენების არე თანამედროვე ქართულში ძალიან დაეწროვდა. ისინი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ისეთ კონტექსტებში იღებენ მონაწილეობას, როცა საქმე ეხება თფიციალური პირისა თუ დელეგაციების საღმე წასვლას, ე. ი. ისეთ წასვლას, რომელიც წინასწარდასახულ, გარკვეულ მიზანს ისახავს. მაგ.: საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ბულგარეთში გაემგზავრა; საბჭოთა ტურისტების ჯგუფი ესპანეთში გაემგზავრა; ექსპედიციის

წევრები ვანში გაემგზავრნენ; სიმბოზიუმის მონაწილენი ხვალ კახეთში მიემგზავრებიან.

სხვა შემთხვევაში გაემგზავრა, მიემგზავრება ზმნები სტილისტიკურად შეფერილ კონტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს.

ამის მიხედვით მიემგზავრება, გაემგზავრა მარჯვედ შერჩეულ სიტყვებად ვერ ჩაითვლება ქვემოთ მოყვანილი ნეიტრალური კონტექსტებისათვის და ისინი მიდის, წავიდა ან სინონიმური მნიშვნელობის მქონე სხვა ზმნებით უნდა შეიცვალოს: „ვახტანგ ესვანჯიას რაიკომის ეზოში ერთი ფეხით მიეუსწარი [უნდა იყოს: სულზე მიეუსწარი]. ის ის იყო მანქანაში ჯდებოდა, სადღაც მიემგზავრებოდა. — ჩვენ ყველაზე საგანგაშო პლანტაციოში გამგზავრებას ვაპირებდით ახლა, — ჩაუროთო იქვე მღვთმშა... სოსო კარტოზიაშ“ („კომ.“).

გამგზავრებას ამ კონტექსტში წასვლა აჯობებს (ახალი ქართულის წასვლა ნეიტრალურია თავისი მნიშვნელობით და ფეხით მოსიარულესა და ტრანსპორტში მჯდომს არ განასხვავებს). შესაბამისად, უნდა ყოფილიყო: ...მანქანაში ჯდებოდა, სადღაც აპირებდა წასვლას; ...პლანტაციოში ვაპირებდით წასვლას.

სხვა მაგალითები: „[უბრიკაში] შექმნეს გახანგრძლივებული ჯგუფი... სკოლიდან ბავშვები აქ მოდიან, შინაურ გარემოში გაკეთილებსაც ამზადებენ და გართობაც არ აკლიათ. დედა კი სამუშაოს დამთავრების შემდეგ შვილებთან ერთად მიემგზავრება [უნდა იყოს: მიდის] შინ“ („თბილ.“); „A პუნქტიდან B-ში, რომელთა შორის მანძილი 20 კმ-ია, გავიდა ველოსიპედისტი; 15 წთ-ის შემდეგ მის კვალდაკვალ... გაემგზავრა [უნდა იყოს: მას (კვალდაკვალ) მიჰყვა] მეორე ველოსიპედისტი“ (აღგებრ., VII); „N პუნქტიდან მებადური ნავით მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გაემგზავრა. 6 კმ-ის გაცურვის შემდეგ გადააგდო ნიჩბები და მდინარის დინებამ... იგი კვლავ N პუნქტში მიიყვანა“ (აღგებრ., VII). აჯობებდა: ...დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გაემართა ან: მებადური ნავით მდინარეს აღმა აჰყვა (მღრ.: „ლაშქარი მცხეთიდან აღმა აჰყვა არაგვს“, — კ. გამს.).

გავლენა, ზეგავლენა სინონიმური სიტყვებია და მათი მნიშვნელობაა: ზემოქმედება, ვისიმე ან რისაჲ მოქმედება ვინმეზე ან რამეზე. აღნიშნული მნიშვნელობის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ ამ სახელებისათვის ბუნებრივი და შესაფერი მეწყვილეა ზმნა ახდენს (მოახდენს): „[ეს] იმ პირველდაწყებითი აღზრდის შესანიშნავი სკოლა იყო, რომელიც ესოდენ დიდ გავლენას ახდენს ყოველთვის პიროვნების შემდგომ ჩამოყალიბებაზე“ („კომ.“); „ან დიდი გავლენა მოახდინა მკითხველებზე“. (აკაკი); „... [ამან] საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა მხატვრულ ლიტერატურაზე“ („ლიტ. და ხელოვ.“); „მშვი-

დობის მომხრეებმა უძლიერესი ზეგავლენა უნდა მოახდინონ ყველა მთავრობასა და პარლამენტზე“ („კომ.“)...

ზოგჯერ ენაში ირღვევა აღნიშნული ბუნებრივი შესიტყვების ხმა-რების წესი და სახელები გავლენა, ზეგავლენა მათთვის შეუფერებელ ზმნებს უკავშირდება. მაგალითად: „გველი ისევე ჰბენდა, მაგრამ კბენა არავითარ გავლენას არ ტოვებდა [უნდა იყოს: არ ახდენდა] ზღარბზე“ (ი. მჭედლ.); „კლიმატური პირობები გარკვეულ გავლენას იწვევს [უნდა იყოს: ახდენს] როგორც მცენარეულ საფარზე, ისე ნიადაგის საფარზეც“ („საქ. ბუნ.“); „ტყეები ახორციელებენ [უნდა იყოს: ახდენენ] ზეგავლენას არა მარტო თავის აღმონაცენის ფართობზე, არამედ გარემომცველ ფართო სივრცეზეც“ („საქ. ბუნ.“).

იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უმართბულოდ შეცვლილია ენაში გავრცელებული მყარი გამოჩათქვამი, რომელშიც სახელი გავლენა მონაწილეობს. მაგალითად: „ქნებ კიდევ შეიძლება ზოგი მათგანის შველა ან იმათი მობრუნება, ვინც უნებლიეთ მიეცა ცულის გავლენას“ („საბჭ. ხელ.“). ზნა მიეცა (მიეცემა), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: მოიცავს რამე (მთლიანად), თავს მისცემს და ამ შინაარსით უკავშირდება სიტყვებს: განცხრომა, ძილი, ფიქრები, სიხარული, მოსვენება და სხვ., სახელისათვის — გავლენა — სრულიად შეუფერებელია. სამაგიეროდ, ქართულში ჩვეულებრივია ფიგურალური გამოთქმა გავლენის ქვეშ მოექცა და აქ მოყვანილი შესიტყვება, ჩანს, მისი უჩვეულო, სახეცვლილი ვარიანტია, რომელიც გასწორების შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს: „ქნებ კიდევ შეიძლება ზოგი მათგანის შველა ან იმათი მობრუნება, ვინც უნებლიეთ მისი (მათი) ან რამის (ცულის, უარყოფითის) გავლენის ქვეშ მოექცა“.

ბაზრდის, ბაიზრდმბა; ბაზრდა ფორმათა ერთ-ერთი მნიშვნელობაა რისამე თანდათან დიდად გახდომის, სიგრძე-სიმაღლეში ან მოცულობაში მატების, გადიდების, გაფართოების მნიშვნელობა. განმარტება ცხადყოფს, რომ ის, ვინც ან რაც იზრდება, უპირველეს ყოვლისა, საგნობრივი მნიშვნელობის მქონეა და რაოდენობრივი მეტნაკლებობის შინაარსს იგუებს: „ხუთწლეულში 21,9 პროცენტით გაიზარდოს რეალური შემოსავალი“ („ახ. კომ.“); „გაიზარდება წიგნის მალაზიებისა და კიოსკების ქსელი, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა“ („წიგნ. სამყ.“); „ზრდიან შრომით მოპაეჭრეთა რაოდენობას“ („თბილ.“); „... გაზრდის მოსაპირკეთებელი ფილების წარმოებას“ („კომ.“); „გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება“ („ახ. კომ.“).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში პუბლიცისტური და სამეცნიერო ხასიათის ნაწერებში ეს ზმნები შესიტყვებას ქმნის ერთი



რივის განყენებული შინაარსის სახელებთანაც, როგორცაა: გაკვირ-  
ვება, ინტერესი, დატვირთვა, ღონე, ინტენსივობა, პროდუქტიულობა,  
წინააღმდეგობა... მაგ.: „სწორედ ამით იზრდება მსმენელის ინტერესი  
და გაკვირება“ („მშობლ. ლიტ.“); „იზრდება მიმოქცევის ხარჯების  
ღონე“ („ახ. კომ.“); „მკვეთრად იზრდება ინტენსივობა“ („თბილ.“);  
„საგრძნობლად იზრდება საქონლის პროდუქტიულობაც“ („სოფლ.  
ცხ.“); „ბოლო შეხვედრებში საგრძნობლად გაიზარდა კუშირის წი-  
ნააღმდეგობა“ („სოფლ. ცხ.“); „იგი კანონზომიერად ზრდის დატვირ-  
თვას, რომელიც სისხლძარღვებზე მოდის“ („კომ.“).

მართალია, ხაზგასმული სიტყვების სემანტიკა რაოდენობრივი გა-  
დიდება-გაზრდის, მატება-განვითარების გაგებას ვერ ითავსებს, მაგრამ,  
რადგანაც დასაშვებია მათი ხარისხობრივი მეტნაკლებობის შესახებ  
მსჯელობა, ეს უნდა უწყობდეს ხელს მათთან გაზრდა ზმნის დაკავში-  
რებას.

ზოგჯერ კი გაზრდა ზმნის მოხმარების არე ხელოვნურად არის გა-  
ფართოებული: იგი შესიტყვებაში შედის ისეთ სიტყვებთან, რომელთა  
შნიშვნელობაც მოცულობითი ან ხარისხობრივი მეტნაკლებობის,  
ზრდა-განვითარებისა და ვადიდების შინაარსს ვერ იგუებს. მაგ.: „იზრ-  
დება სისხლის შედედება“ („კომ.“); „ამის შედეგად იზრდება... პორ-  
მონების გამომუშავება“ („კომ.“); „შარშანდელთან შედარებით შნი-  
შენელოვნად გაიზარდა თივის დამზადებაც“ („წინსვლა.“); „საწარმო-  
ში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა გაიზარდა 70%-ით“  
 („საქ. აგიტ.“); „საწარმო... გაზრდის გაისად... 40 ათასი ცალით სამ-  
შენებლო კერამიკის ნაწარმის გამოშვებას“ („კომ.“); „მსოფლიოს მრავ-  
ვალ ქვეყანაში... შესამჩნევი ხდება... გულის ხუთვით დაავადების  
ზრდა“ („კომ.“); „იზრდება... საექსპლუატაციო ...პირობები“  
 („თბილ.“).

საექსპლუატაციო პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს ან გაუ-  
არესდეს; პირობების გაზრდა უაზრო სიტყვათშეხამებაა. შედედება, გა-  
მომუშავება, დამზადება, დანერგვა, გამოშვება და დაავადება ნაზმნარი  
არსებითი სახელებია და მოქმედების აღმნიშვნელ სახელებთან გაზრ-  
დის (გაიზარდა, იზრდება...) ზმნის შეხამება შესიტყვების ორივე წევ-  
რის შინაარსის გაუთვალისწინებლობის შედეგია. სათანადო აზრი სხვა  
სახის შესატყვისებით უნდა გამოიხატოს: უმჯობესდება პირობები;  
სისხლის შედედების უნარს აუმჯობესებს//აქტიურებს; იზრდება გა-  
მომუშავებული პორმონების რაოდენობა; გაიზარდა დამზადებული თი-  
ვის რაოდენობა; გაიზარდა დანერგილ წინადადებათა რაოდენობა; გა-  
ზრდის გამომუშავებული ნაწარმის რაოდენობას; შესამჩნევი ხდება  
დაავადებულთა რაოდენობის ზრდა და ა. შ.

**გამო** თანდებულის მართებულად გამოყენების შესახებ იხ. შედეგად — გამო.

**გამოავლენს — გამოაქვლავნებს — უჩვენებს** სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებია. მათი საერთო ფუნქციაა მანამდე დაფარულის (ან პოტენციური შესაძლებლობის) გამომზეურება-გამოაშკარაების აღნიშვნა; განასხვავებს მათ გამოაშკარაებელი ობიექტის ხასიათი (იქნება იგი მატერიალური თუ არამატერიალური), აგრეთვე ამ გამოაშკარაების საფუძველი და მიზანი.

1. **ავლენს — ამჟღავნებს** ზმნების ზმარებისას ივარაუდება, რომ ობიექტი მოსაუბრისათვის მანამდე დაფარული, დამალული იყო: ამასთან, **გამომჟღავნება** ეხება ისეთ დაფარულსა თუ საიდუმლოს, რომელიც სხვათათვის იყო ასეთი, სუბიექტისათვის კი ადრევე იყო ცნობილი. ხოლო **გამოვლენა** ისეთი საიდუმლოს გაცხადებაა, რომელიც სუბიექტისთვისაც უცნობი, ანდა გაუცნობიერებელი იყო მანამდე, მაგრამ მან (სუბიექტმა) მიზნად დაისახა და გამოარკვია. შდრ.: გამოაშკარავნა — (საიდუმლო) გაცხადა, გასცა, სხვას გაუზიარა და; **გამოავლინა** — (ფაქტი) გამოიძია, გამოარკვია, გაიგო. ამ ზმნათა პასიური ფორმების დაპირისპირებაც ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს: **გამომჟღავნდა** — (საიდუმლო) გაცხადდა, გაცემულ იქნა, გამოაშკარავდა უფრო თვით მესაიდუმლეთა, „შეთქმულთა“ მიზეზით და არა სხვათა ჩარევის შედეგად. **გამოვლინდა** — გაირკვა, ნათელი გახდა რაიმე ფაქტი გარეშე პირთა მეშვეობით, მათი აქტიურობის შედეგად.

**შეინიშნება** ერთი ნიუანსიც: **გამოაშკარავნა (გამომჟღავნდა)** და **გამოავლინა (გამოვლინდა)** ზმნათა შინაარსი განსხვავდება მოსაუბრის დამოკიდებულებითაც საიდუმლოს გახსნისადმი. თუ ის, რაც უნდა გაირკვეს, ნათელი გახდეს, დადებითი მოვლენაა, ან მისი გარკვევა კეთილ მიზანს ემსახურება. ამ შინაარსს უკეთ გადმოსცემს **გამოვლენა**, ხოლო თუ გამოაშკარაების ფაქტი უარყოფითი ემოციური შინაარსისაა და სუბიექტის მოქმედებას არაკეთილშობილურად ახასიათებს, ამ შემთხვევაში **გამომჟღავნება** უკეთ მიესადაგება სათქმელს. მაგ.: „გოლს საიდუმლო გამოაშკარავებინებს“ (ლ. ქიან.).

**ამჟღავნებს, გამოაშკარავნა** ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის აგრეთვე გუნება-განწყობილების, გრძნობა-დამოკიდებულების გამომხატველ სახელებთან: **ამჟღავნებს სიშაათიას/ანტიპათიას** (ვინმეს მიმართ), **ამჟღავნებს გრძნობებს**: სიყვარულს, სიძულვილს, დარღს... **ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას** (ვინმეს ან რაიმეს მიმართ). მაგ.: „ზოგჯერ ახალმოსული ყოველნაირად ცდილობს დამალოს, რომ მან მოცემული საკითხი ეერ გაიგო, ან დაეალება ვერ შეასრულა. ამის **ამჟღავნება** მისთვის დიდი ტრაგედიაა“ („ახ. კომ.“).

აღნიშნული შინაარსობრივი სხვაობები კარგად ჩანს სხვა კონტექსტებშიც. შდრ. ერთი მხრივ: „კონცერტმა გამოავლინა მ. დოლიძის ისეთი თვისება, როგორცაა ორკესტრის კარგი გრძნობა“ („ახ. კომ.“); „სასახლეში ყველას ეძლევა ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალება“ („ახ. კომ.“); „ტექნიკას, ბურთის ფლობის შედეგებს ვერ გამოავლენ, თუ...“ („ლელო“); „წლის შედეგების მიხედვით ავტორიტეტული ჟიური განსაზღვრავს საუკეთესო საცხოვრებელ სახლს, გამოავლენს გამარჯვებული ბრიგადების კოლექტივებს“ („კომ.“); „მარტო წლევიანდელ 2 თვეში 432 მთვრალი მძღოლი გამოავლინა ავტონისპექციამ“ („თბილ.“) და მეორე მხრივ: „ქირის დროს... ვარშის გამომჟღავნება დარდს აქარებებს“ (ვაჟა); „არ უყვარდათ თავისი გრძნობების გამომჟღავნება ხარატანთ“ (მიხ. მრეველ.); „უდროო დროს გამოვამჟღავნე ჩემი სურვილი“ (ე. ბარნ.); „მინდოდა ცრემლები დამეშალა, გულზე მოწოლილი სიბრალული და ნადველი არ გამომჟღავნებულიყო“ (ვაჟა).

დამახასიათებელია, რომ ამჟღავნებს (გამომჟღავნა) სუბიექტად იგუებს მხოლოდ სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელებს, ობიექტად კი — უსულო საგნის აღმნიშვნელს, ხოლო ავლენს (გამოავლინა) ზმნის დამოკიდებულება სუბიექტთან ამ მხრივ შეუზღუდავია. შდრ.: „ვაზეთმა ბევრი ახალგაზრდა და მივიწყებული მწერალი გამოამჟღავნა [უნდა იყოს: გამოავლინა]“ („სოფლ. ცხოვრ.“). შესაბამისად, ამჟღავნებს (გამომჟღავნა) ზმნის ვნებითის ფორმასთან — გამომჟღავნა — ბუნებრივ შესიტყვებას შექმნის უსულო საგნით გამოხატული სუბიექტი: „...ხშირად ჩვენს შორის მოქლონდელია ისეთებიც მჟღავნებიათ, [უნდა იყოს: ელინდებიათ], რომელთაც კახელის, გურულის, სვანის თუ რაჭველის ანექტადისეული „სხვაობა“ და „დაბირისპირებულობა“ ნამდვილ სხვაობად და სხვადასხვაობად დაუჯერებია და უწამებია“ (ლ. სანიკ.).

ასევე არამართებულად უნდა ჩაითვალოს ამჟღავნებს (მჟღავნდება) ზმნის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც უცნობის, არაცნობილის ცნობილად ქცევა, სააშქარაოზე გამოტანა, გაცხადება სუბიექტის აქტიური მოქმედების შედეგია და არა მისთვის ადრევე ცნობილი ფაქტის სხვათათვის გაზიარება, სხვათათვის გამჟღავნება. მაგ.: „...ჩაბარდა უფროსკლასელთა საქალაქო წერა, რომელმაც გამოამჟღავნა [უნდა იყოს: გამოავლინა], რომ ზეალინდელი მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობის ცხოვრებისეული პოზიცია ჯანსაღია“... („თბილ.“); „...მას ამ სპექტაკლში თითქოს სუნთქვა ვაგნსა და შესაძლებლობათა უფრო ძლიერად გამჟღავნების [უნდა იყოს: გამოვლენის] საშუალება მიეცა“ („თბილ.“); „ჯორბენაძის შრომებში, რომლებიც ეხება თეორიული და პრაქტიკული მედიცინის მეტად აქტუალურ საკითხებს,

სრულად **მეღავნდება** [უნდა იყოს: ვლინდება] ავტორის ნიჭიერება და ერუდიცია“ („კომ.“); „გამოწვლილვითი ანალიზით (მიკროანალიზით) შეგვიძლია **გამოვამუღავნოთ** [უნდა იყოს: გამოვავლინოთ] სინთონიმები, რომლებიც სხვადასხვა დიალექტური (ლინგვისტური) ფენებიდან მომდინარეობს“ (შ. ძიძ.); „ზღვისპირა ქალაქი, სადაც მთელი სისრულით შესძელით თქვენი ნიჭისა და უნარის **გამომუღავნება** [უნდა იყოს: გამოივლინა]...“ („კომ.“).

2. **ავლენს — უჩვენებს. გამოვლენა და გამომუღავნება** მანამდე უცნობი ფაქტის, მოვლენის გამოაშვარავება-გამონზეურებაა; ამ ზმნებთან შენამებულ საბელებში ივარაუდება ცნობიერებაში დაფარული, დამალული რამ, ხოლო მატერიალურ საგანთა გათვალსაჩინოებას **ჩვენება (აჩვენებს, უჩვენებს)** გამოხატავს. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ობიექტი მატერიალურად ჩვენებამდეც არსებობდა, ეს ცნობილი იყო სუბიექტისათვის (და, შესაძლოა, ობიექტისთვისაც) და ახლა მისი გაცნობა, ჩვენება მოსაუბრისათვის, ირიბი ობიექტისათვის არის გამიზნული. შდრ.: მან ახალი კაბა მიჩვენა; ანდა: მასწავლებელმა/მოსწავლემ რუკაზე უჩვენა საქართველოს კურორტები. **უჩვენებს ზმნის მნიშვნელობა** ამ თვალსაზრისით მითითების, დანახვების მნიშვნელობას უახლოვდება.

აქედან გამომდინარე, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს არამატერიალურის გათვალსაჩინოების, გამოვლენის მნიშვნელობით **უჩვენებს ზმნის** გამოყენება: „მოსწავლე **უჩვენებს** [უნდა იყოს: ავლენს] პროლეტარული ინტერნაციონალიზმის **ცოდნას**“ („ისგ სკოლაში“); „ექსპერიმენტული კლასის მოსწავლეებმა საკითხების ღრმა გაგება და ფართო წარმოდგენა **უჩვენეს** [უნდა იყოს: გამოავლინეს]“ („ისგ სკოლაში“).

**გამომამუღავნებს ზმნა** თანამედროვე ქართულში უმართებულოდ იხმარება **გამოავლენს ზმნის მნიშვნელობით**. იხ. **გამოავლენს — გამოამუღავნებს — უჩვენებს**.

**გამოთქვამს ზმნის მნიშვნელობაში** ნავარაუდევია რაიმე აზრის (იდეის, გრძნობის) სიტყვიერი გამოხატვა, გადმოცემა; სხვადასხვა საბელებთან ეს ზმნა ქმნის ბუნებრივ სიტყვათშენამებას: **აზრს (მოსაზრებას) გამოთქვამს, კმაყოფილებას (უკმაყოფილებას) გამოთქვამს, ენით ვერ გამოუთქვამს, მადლობას გამოთქვამს...** „და რასაც ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამოითქვამს ენითა!“ (აკაკი); „დაე, საბჭოს... წვეერმა **გამოთქვას** თავისი **აზრი**“ (გ. ცაცქ., თარგმ.); „...სტატისტიკოსები აქვეყნებენ თავიანთ გამომანგარიშებებს, გაზეთები—პროგნოზებს, მწკრთნელები **გამოთქვამენ მოსაზრებებს**“ („ლელი“).

უკანასკნელ ხანებში დაუდევრობის გამო **გამოთქვამს (გამოთქვა)** ზმნამ უმართებულოდ გაიდართოვა გამოყენების არე, — მას დაუკავშირდა შესხამების თვალსაზრისით შეუფერებელი სახელები: გადაწყვეტილება, სიტბო, კრიტიკა, რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები, გრძნობა, შეშფოთება... მაგ.: „მათ დაადასტურეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში და **გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება** [უნდა იყოს: გადაწყვეტილება გამოიტანეს, მტკიცედ გადაწყვიტეს] განამტკიცონ ორ ქვეყანას შორის... კეთილმეზობლური ურთიერთობა“ („კომ.“); „თავის თანამემამულეთა მიმართ მკაცრი კრიტიკა გამოთქვა [უნდა იყოს: კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა, კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდა] ბრაზილიელთა ყოფილმა მთავარმა გერსონმა“ („ლელო“); „საუბრების დროს **გამოითქვა რჩევა-დარიგებები** [უნდა იყოს: შემოთავაზებული იყო რეკომენდაციები და წინადადებები] კოკისპირული წვიმის... შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციის შესახებ“ („კომ.“); „შებენდრაზე მოვიდა კესარიანის რაიონის მერი მაკრისი, რომელმაც თავის სიტყვაში დიდი სიტბო **გამოთქვა** [უნდა იყოს: გამოხატა] საბჭოთა ხალხის მიმართ“ („ახ. კომ.“); „**შეშფოთება გამოითქვა** იმის გამო [უმჯობესია: შეშფოთებით აღინიშნა ის ფაქტი, გარემოება], რომ რაიონში რაციონალურად არ არის გამოყენებული შრომითი რესურსები“ (კომ.“); „**გაზეთი... მკითხველებს საშუალებას მისცემს გამოთქვან** [უნდა იყოს: გამოხატონ, ან: გაუზიარონ] **შთაბეჭდილებები** სამართალდარღვევის მუშაკთა რთულ... პასუხსაგებ მოვალეობაზე“ („თბილ.“); „განსაკუთრებით მაღლობის **გრძნობა** გვიჩნდა **გამოთქვათ** [მათ] შესახებ [უნდა იყოს: ...გრძნობა გამოვხატოთ [მათ] მიმართ, ან: მაღლიერების გრძნობით გვიჩნდა აღვნიშნოთ, მოვიხსენიოთ ისინი]“ („განათ.“).

მასასადამე, **გამოთქვამს** ზმნის შემცველ უხერხულ სიტყვათშეხამებათა არიდება შესაძლებელია და უნდა მოხერხდეს ზმნის (ზოგჯერ სახელის) ანდა მთელი კონსტრუქციების შეცვლის გზით.

**გამოისყიდის** ზმნის გადატანითი მნიშვნელობაა: გამოასწორებს, გამოაკეთებს, ზღაეს, აანაზღაურებს, პატიებას დაიმსახურებს. ჩინს, ეს ზმნა გადატანითი მნიშვნელობით იმავეითვე ისეთ სიტყვებს დაუკავშირდა და ისეთ სიტყვებთან შეადგინა მყარი გამოთქმები, რომელთაც მხოლოდ უარყოფითის, ცუდის შინაარსი ჰქონდათ და რომლებთანაც ყველა შემთხვევაში შეიძლებოდა გვეხმარა აღნიშნული ზმნა გამოსწორების, გამოკეთების მნიშვნელობით, როგორცაა, მაგალითად: დანაშაული, შეცდომა, ცოდვა...: „იმ **დანაშაულს** ვედარაფერი **გამოისყიდის**“ (ს. შანშ.); „მინდა, **შეცდომა**, ჩემი წარსული **გამოისყიდო** და

გავასწორო“ (აკაკი); „ხალხსა და ხომალდს დავწვავ ერთიან, რათა ერთბაშად **გამოისყიდოს** ეს თავხედური ცოდვა ყოველმა“ („მნათ.“)...

გაუმართლებელია ამ ზმნის გამოყენება სემანტიკურად შეუფერებელ სახელებთან. მაგალითად: „**ჩიგი** გამოისყიდდა არასწორ **საქციელს**“ („საქ. აგიტ.“). **საქციელი** არ ეკუთვნის ზემოთ დასახელებულ სიტყვათა რიგს და ყოველთვის მხოლოდ უარყოფითი შინაარსი არა აქვს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ზმნა **გამოისყიდის** ვერ დამკვიდრდა მასთან და ვერ შექმნა მყარი ერთეული. ქართულისათვის ბუნებრივი, დასაშვები იქნებოდა ცუდი, არასწორი საქციელის **გამოსწორება**. ამიტომ უნდა ყოფილიყო: ან გამოასწორებდა ურიგო საქციელს, ან გამოისყიდდა დანაშაულს.

მსგავსივე წინადადებაა: „ქვეყნის შველა აღარ ძალმიძს და რით **გამოვისყიდო** თქვენი **სამსახური**?“ („ცისკ.“). სიტყვა **სამსახურს** მეწყვილედ ზმნა **გადახდა** უფრო შეეფერება და, მაშასადამე, უნდა იყოს: რით შემიძლია გადავიხადო თქვენი **სამსახური**? ან: რით გადავიხდი თქვენს **სამსახურს**?

**გამოიჩინს** ზმნის ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა: გამოავლენს, გამოააშკარავებს, გამოამყლავნებს თავის რასმე (უნარს, შესაძლებლობას...): „არ მეგონა, თუ ასეთ **გულმოდგინებას** გამოიჩინდი“ (შ. არაგვ.); „უფროსებს ზედმეტი **ცნობისმოყვარეობა** აღარ გამოუჩინიათ“ (ს. კლდ.); „ახლა მე **გამოვიჩინე რაინდობა**“ (ა. ბელ.); „იასონი სწავლაში ძლიერ კარგ **ნიქს იჩენდა**“ (ე. ნინოშვი.); „ქალი თუ კაცი უმაგალითო **გმირობას იჩენდა**“ („კომ.“)...

ამასთანავე, ზმნა **იჩენს** (**გამოიჩინს**) სხვადასხვა სახელთან ქმნის რამდენიმე ფიგურალურ გამოთქმას, რომლებიც დღეს მეტად პროდუქტიულია ქართულში. ასეთებია: **თავს იჩენს / თავს გამოიჩინს** („საბჭოთა მფრინავებმა ბრძოლებში თავი გამოიჩინეს“. — „კომ.“), **ინიციატივას იჩენს** („რკინისგზელებმა ინიციატივა გამოიჩინეს“. — „კომ.“), **მზრუნველობას იჩენს** („შეთნელებელ **მზრუნველობას** ვიჩენთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის“. — „კომ.“), **ყურადღებას იჩენს, გულისხმობს იჩენს** და სხვ. აღნიშნულ მყარ გამოთქმებშიც **იჩენს** (**გამოიჩინს**) ზმნას შენარჩუნებული აქვს ზემოთ დასახელებული მნიშვნელობა და აზრობრივადაც გამართულია.

მაგრამ ზოგჯერ ეგვივე ზმნა უკავშირდება არა რაიმე თვისების, უნარის, შესაძლებლობისა თუ გრძნობის გამომჩატველ სიტყვებს, არამედ მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს და მათთან სემანტიკურად გაუმართლებელ შესიტყვებებს ქმნის. მაგალითად: „ამასთან ნათელი ხდება, თუ რატომ **იჩენენ განსხვავებას** [უნდა იყოს: განსხვავდებიან] დათიშვის მხრივ დომინანტური ნიშან-თვისების მქონე ინდივიდები“

(„ბიოლ.“); იგი საყვედურს გამოთქვამს საამქროს იმ უფროსების მიმართ, რომლებიც... დაუდევრობისადმი წაყრუებას იჩენენ [უნდა იყოს: უყურადღებობას იჩენენ, ან: დაუდევრობას უყურადღებოდ ტოვებენ, ყურადღებას არ აქცევენ]“ („გამარჯვ.“); „იმდროინდელი ტყის შიგაგარემო ლებარდეს სოჭნარს არ აძლევდა საშუალებას ისეთი ზრდა გამოეჩინა, როგორსაც შოვის სოჭნარები ამკლავებენ [უნდა იყოს: ისე გაზრდილიყო, როგორც შოვის სოჭნარები იზრდება]“ („საქ. ბუნ.“); „მან სხვა შემთხვევაშიც იგივე უსულგულობა, ნებსით თუ უნებლიეთ ყალბისმქმნელთა ხელშეწყობა გამოიჩინა [უნდა იყოს: უსულგულობა გამოიჩინა, ნებსით თუ უნებლიეთ ყალბისმქმნელებს ხელი შეუწყო]“ („თბილ.“); „ამ თანასაზოგადოებაში შემავალი სახეობები საბინადრო ადგილის ფიზიკური პირობებისადმი მსგავს მითხოვნებს იჩენენ [უნდა იყოს: ...პირობებს მსგავს მითხოვნებს უყენებენ]“ („ბიოლ.“); შდრ.: „სოციალისტური მშენებლობის ამოცანები სულ უფრო მაღალ მითხოვნებს უყენებენ პარტიულ და საბჭოთა კადრებს“ („კომ.“).

**გამოიწვევის** ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: რისამე მიზეზი გახდება: რაიმე შედეგს გამოიღებს; წარმოშობს, წარმოქმნის რასმე; რაიმე გრძნობას აღძრავს. ამასთან, უფრო ხშირად იგი იხმარება უარყოფითი შედეგის გამოიწვევი მიზეზის აღმნიშვნელ სიტყვებთან: „რამ გამოიწვია [მისი] ასეთი უცარი სიკვდილი, არა ჩანს“ (ივ. ჯავახ.); „ჩემი ყოფაქცევის გამო არ ვიწვევ იმათ ზიზღს?“ (ვაჟა)... ასეთივეა: გაუგებრობა გამოიწვია, აღშფოთება გამოიწვია, უსიამოვნება გამოიწვია, უკმაყოფილება გამოიწვია, დაღუპვა გამოიწვია, მტრობა გამოიწვია, აურზაური გამოიწვია და მისთ.

ბოლო დროს ზმნამ გამოიწვევს გაიფართოვა მოხმარების არე, რიგ შემთხვევაში შეენაცვლა სხვა ზმნებს და უმართებულოდ დაუკავშირდა სემანტიკურად მასთან შეუთავსებელ სახელებს, რის შედეგადაც ქართულისათვის შეუფერებელი, უზერბული შესიტყვებები მივიღეთ, მაგალითად: „კლიმატური პირობები გარკვეულ გავლენას იწვევს [უნდა იყოს: ახდენს] როგორც მცენარეულ საფარზე, ისე ნიადაგის საფარზეც“ („საქ. ბუნ.“). შდრ.: „[ეს] დიდ გავლენას ახდენს ყოველთვის პიროვნების შემდგომ ჩამოყალიბებაზე“ („კომ.“). „განსაკუთრებულ ეფექტს ის ეფექტორები იწვევს [უნდა იყოს: ახდენს], რომლებიც ნუკლეინის მჟავებზე მოქმედებენ“ („ბიოლ.“). შდრ.: „მოტანილმა ცოცხალმა მურწამ ისეთი ეფექტი მოახდინა მასპინძელზე, რომ კინაღამ ღვინოში არ ჩაგვახრჩო“. (ეკ. გაბ.). „შეკამათებას იწვევს [უნდა იყოს: დავას, გაუგებრობას, უკმაყოფილებას... იწვევს] ი. კერესელიძის „სალაყბო ფურცლის“ ანალიზი“ („ლიტ. გაზ.“); „მცენარეული წარმოშო-

ბის სხვა შხამების მსგავსად, ნიკოტინი იწვევს მიჩვევას [უნდა იყოს: ნიკოტინს ეჩვევა «ორგანიზმი...» («კომ.»); «ინდივიდუალური გადაარჩევა იწვევს ისეთი ჯიშების მიღებას [უნდა იყოს: გადაარჩევის დროს (შედგად) მიიღება ისეთი ჯიშები, ან: იღებენ ისეთ ჯიშებს], რომლებიც წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე ჰომოზიგოტურ წმინდა ხაზს» («ბიოლ.»); «სამრეწველო გადატრიალებამ გამოიწვია მუშების მიერ ტექნიკური განათლების მიღება [უნდა იყოს: გადატრიალების შედეგად მუშებმა მიიღეს ტექნიკური განათლება]» («ინგ სკოლაში»); «რკომეტამ სპეციალისტთა მოწონება გამოიწვია [უნდა იყოს: დაიმსახურა]» («სამშ.»); «დადგენილებამ... დიდი მოწონება გამოიწვია [უნდა იყოს: დაიმსახურა]» («კომ.»).

**გამოსასვლელი.** ეს სიტყვა წარმოებით მყოფადის მიმღობაა. მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: გამოსვლისათვის დანიშნული ადგილი, ან ის ადგილი, საიდანაც გამოდის (საპირისბ. შესასვლელი): „იქ ვიწრო წყლის გზაა ხმელთაშუა ზღვაში გამოსასვლელი“ (ილია.); „პირველად აქ მოდიოდნენ საზოგადოებაში გამოსასვლელი ქალი და ვაჟი“ (ნ. ლორთქ.).

გადატანითი მნიშვნელობით გამოსასვლელი იხმარება დღე სიტყვის მსაზღვრელად არასამუშაო, უქმე დღის აღსანიშნავად. გამოსასვლელი დღე კალკია რუსული შესიტყვებისა — выходной день. ასეთივე კალკირებული გამოთქმაა გამოსასვლელი კაბა (выходное платье) — ქალის ტანსაცმელი, რომელიც მუშაობისათვის არ არის გამოიყენებული, სადღესასწაულოა. ასეთივე შესიტყვება თანამედროვე პრესაში (აგრეთვე თარგმნილ ლიტერატურაში) არცთუ იშვიათად დასტურდება.

ბ. გამოსასვლელი დღე: „— რატომ არ ითხოვე გამოსასვლელ დღედ?“ (ნ. ძოწ., თარგმ.); „...კონტრმზვერავმა არ იცის არც გამოსასვლელი და არც უქმე დღეები...“ (გ. შალამბ., თარგმ.); „ხვალ ტურნირზე გამოსასვლელი დღეა“ («ლელო»); მატჩის გამოსასვლელი დღე სამშაბათია“ (ახ. კომ.).

სათანადო ცნებების გამოსახატავად ქართულს მოეპოვება ტრადიციული, ბუნებრივი გამოთქმები: დახვენების დღე ან უქმე დღე. სწორი ხმარებისათვის შდრ.: „უსაქმო კაცისათვის მუდამ უქმეაო“ (ანდრეა); „უქმე დღეს ილხენდნენ, დაირას უკრადნენ“ (აკაკი); „მუდამ-ჟამს — სადავ თუ უქმე დღეებში...“ («კომ.»); „სტატისტიკით დამტკიცებულია, რომ უქმე დღეს ხალხი ჩვეულებრივზე აღრე იღვიძებს“ («ნიანგ. ბიბ-კა“).

ბ. გამოსასვლელი ტანსაცმელი (კოსტიუმი, ფუნსაცმელი...): „მას სამინისტროში ჰქონდა საქმე და სამსახურში გამოსასვლელი კოსტი-



უმით მოვიდა“ (ნ. ძოწ., თარგმ.); „შეიძლება დილით დაბალქუსლიანი გეცვათ, გამოსასვლელი ფენსაცმელები კი ჩანთით მოიტანეთ“ (ნ. ძოწ., თარგმ.); „როგორც ხედავთ, წლებანდელი მოდა უპირატესობას ანიჭებს კომპლექტურობას და რაც ნიშანდობლივია, არა მხოლოდ საყოველღეო, არამედ გამოსასვლელ ტანსაცმელშიც“ („პირიმზე“).

მართებული გამოთქმებია: საგარეო ტანსაცმელი (ტანისამოსი), საგარეო კაბა, საგარეო კოსტიუმი, საგარეო ფენსაცმელი. სწორი ხმარებისათვის შდრ.: „ილომ ჩაის შემდეგ ჩაიცვა საგარეო ტანისამოსი“ (ვ. ბარნ.); „ზანდუქში ინახება გუძას ცოლის განძეულობა: ერთი სამშაურიათი თაფითი... საგარეო კაბა და სხვ.“ (თ. სახ.); „...ნაფტალინში შენახული საგარეო კოსტიუმი ჩაიცვა“ (ალ. სამს.).

კალკირებული გამოთქმები — გამოსასვლელი დღე, გამოსასვლელი ტანსაცმელი (კაბა, ფენსაცმელი...) — უკუსაგდებია, ვინაიდან მათ ქართულში ტრადიციით განმტკიცებული ბუნებრივი შესატყვისები მოეპოვება: დასვენების დღე // უქმე (დღე), საგარეო ტანსაცმელი.

**გამოყენებით.** ამ სიტყვის სინონიმთა აღრეული ხმარებისათვის იხ. დახმარებით.

**გამძაფრებით** ზოგჯერ უმართებულად იხმარება ძლიან, ძლიერ ზმნისართების ნაცვლად. მსგავსი კონსტრუქციებს შესახებ იხ. ვაგებით ეკიდება.

**-გან/-(ი)ღან.** -გან თანდებული ორ ბრუნვას ერთვის — ნათესაობითსა და მოქმედებითს. ნათესაობითში დასმული -გან თანდებულნიანი სახელი აღნიშნავს მოქმედების ჩამდენს, წყაროს, — თუ ვისგან, რისგან მომდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება: მასალას, რისგანაც რაიმე კეთდება; ასევე რაიმესაგან გამოყოფას, მოშორებას, მოცილებას. მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი კი გვიჩვენებს მოქმედების საწყის პუნქტს სივრცესა და დროში. ცნობილია, რომ -გან თანდებულნიანი ნათესაობითის გამოყენების არე ძველ ქართულში გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე -გან თანდებულნიანი მოქმედებითისა. მრავალი ფუნქცია, რომელსაც ადრე -გან თანდებულნიანი ნათესაობითი ასრულებდა, მოგვიანებით -გან თანდებულნიანმა მოქმედებითმა იკისრა და, შესაბამისად, გამოყენების არე გაიფართოვა. ეს პროცესი თანამედროვე ქართულშიც გრძელდება. ამიტომ -გან თანდებულნიანი ნათესაობითის ფუნქციით ენაში -გან თანდებულნიანი მოქმედებითის საეჭვო მოქარბება შეიმჩნევა (იშვიათად საპირისპირო მოვლენაც შეინიშნება).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მოქმედი წესის მიხედვით, სახელი, რომელიც იგუებს კითხვებს ვისგან? რისგან? — -გან თანდებულნიან ნათესაობითში უნდა დაისვას, ზოლო სახელი, რომელიც

რგულებს კითხვას **საიდან?** — **-გან** თანდებულიან მოქმედებითში. მაგალითად: წერილი მიიღო ვისგან? — **დედისგან**, მაგრამ **საიდან?** — **სოფლიდან** (ცნობილია, რომ **სოფლიდან**, **საირმოდან** და ამ რიგის სახელთა **-(ი)დან** დაბოლოება მოქმედებითი ბრუნვის **-ით/-თ** ნიშნისა და **გან** თანდებულის შერწყმის შედეგად არის მიღებული: **(ი)თ+გან→(ი)დ+გან→(ი)დან**). **-გან** თანდებულიან ნათესაობითში დასმული სახელი წინადადებაში პირმოუმართავი დამატების ფუნქციას ასრულებს, **-გან** თანდებულიან მოქმედებითში დასმული სახელი — ადგილის გარემოებისას, მაგრამ ის სიძნელე, რომელიც ხშირად პირმოუმართავი დამატებისა და გარემოების ერთმანეთისაგან გარჩევისას წარმოიქმნება, აქაც იჩენს თავს და, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები **ვისგან?** **რისგან?** და **საიდან?** ბრუნვის ფორმათა ამორჩევის მარჯვე საკონტროლო საშუალებას წარმოადგენს, მართებული ფორმის შერჩევა არცთუ იშვიათად მაინც ჭირს. ეს მოვლენა სალიტერატურო ენაშიც შეინიშნება.

1. ნაყოფი, თესლი, ხორცი, ფქვილი, პლასტმასა, ქსოვილი, ქვა, მარმარილო, ბრინჯაო და მსგავსი სემანტიკის სხვა სახელი კონტექსტში აღნიშნავს მასალას, რისგანაც რაიმეს აკეთებენ, ამზადებენ, აცხოებენ, კერავენ, აქანდაკებენ, ასხამენ... ეს სახელები, წესისამებრ, **-გან** თანდებულიან ნათესაობითში დაისმის. **-გან** თანდებულიანი მოქმედებითის **-(ი)დან** დაბოლოების გამოყენება ამ ფუნქციით მართებული არ არის: „ქინჭრის **ფოთლებიდან** [უნდა იყოს: ფოთლებისაგან] წამალი ასეთი წესით უნდა მოვამზადოთ“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ასკილის **ნაყოფიდან** [უნდა იყოს: ნაყოფისაგან] შეგვიძლია დავამზადოთ ნაყენი“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**თესლიდან** [უნდა იყოს: თესლისაგან] წამლის მომზადების წესი ასეთია“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ქურდლის **ხორციდან** [უნდა იყოს: ხორცისაგან] შეიძლება დამზადდეს... გემრიელი კერძები“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამ დღეს... მემინდვრობის მფარველ ღმერთებს პირველ თაეთაგებსა და ახალი ხორბლის **ფქვილიდან** [უნდა იყოს: ფქვილისაგან] გამომცხვარ პირველ პურს სწირავდნენ“ („თბილ.“); „ამ **ქსოვილიდან** უნდა იყოს: ქსოვილისაგან]. შეკერეს პალტოები“ (მათემ., II).

ასევე უნდა იყოს: ქალაღისაგან გამოჭრა, ჩაის ფოთლისაგან მიიღო, შარშარილოსაგან გამოაქანდაკა, ბრინჯაოსაგან ჩამოსახსა...

მასალად გამოყენებული სახელისათვის ბრუნვის ფორმის შერჩევა თითქოს ძნელი არ უნდა იყოს და მაინც ღარღვევათა მეტი წილი სწორედ ამ სახისაა.

2. ისეთ ზმნებს, რომელთაც გამოყოფა-მოშორება-მოცილების (ე. ი. პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით რაიმესთან **კავშირის**, **საერთო რგოლის გაწყვეტის**) გაგება აქვთ, შესიტყვების წევრად **-გან**

თანდებულებიანი ნათესაობითი უნდა შევუწყოთ. ესენია: თავის დაღწევა, განცალკევება, იზოლირება, ხსნა, განთავისუფლება, დაშორება, განხსვავება, გადაღება... მაგალითად: „ემინოვმა გააქცევით სცადა პასუხისმგებლობიდან [უნდა იყოს: პასუხისმგებლობისაგან] თავის დაღწევა“ („კომ.“); „[მან] თავი დააღწია ამხანაგის პარაშუტის თოკებიდან [უნდა: თოკებს, თოკებისაგან]“ („კომ.“); „მოზინალრებმა არაერთხელ დააყენეს... სანიღვრე ქსელის საკანალიზაციო ქსელიდან [უნდა იყოს: ქსელისაგან] განცალკევების საკითხი“ („თბილ.“); „მისი გამოსწორება საზოგადოებიდან [უნდა იყოს: საზოგადოებისაგან] იზოლირების გარეშე შეუძლებელი გახდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „თუ რამე შიხსნიდა ამ გაჭირვებიდან [უნდა იყოს: გაჭირვებისაგან], ეს იქნებოდა მხოლოდ ჩოგბურთი“ („ლელო“); „ჩიდის წესრიგში მოყვანა ამ გასაჭირიდან [უნდა იყოს: ვასაჭირისაგან] გვიხსნის“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამბობენ, ადამიანი პირუტყვიდან [უნდა იყოს: პირუტყვისაგან] იმითაც გამოირჩევა, რომ ვაცინება შეუძლია“ („ლენინელი“); „ლოთები შორს საჭიდან [უნდა იყოს: საჭისაგან]“ („კომ.“); „ის მწვანედ განიცდიდა სამშობლოდან [უნდა იყოს: სამშობლოსაგან] დაშორებას“ („კომ.“); „შორსა ვართ იმ აზრიდანაც [უნდა იყოს: აზრისაგანაც], რომ სტადიონზეც ისევე ვასუსლები ვისხდეთ, როგორც თეატრში“ („თბილ.“), მაგრამ სწორია; ჩვენ ქალაქიდან, ცენტრიდან, რკინიგზის სადგურიდან შორსა ვართ, ე. ი. ტერიტორიულად მოცილებულები, დაშორებულები ვართ.

„კოლმეურნეობის გამგეობამ იგი გაათავისუფლა ინჟინერ-მექანიზატორის მოვალეობიდან [უნდა იყოს: მოვალეობისაგან]“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ასევე იქნება: გაათავისუფლა გამგე-გამყიდველის მოვალეობისაგან, მჩაგვრელებისაგან, უცხოელი დამპყრობლებისაგან, მონობისაგან, ხელით შრომისაგან... მაგრამ: გაათავისუფლა სამუშაოდან, სამსახურიდან... (ასევე: სამუშაოდან, სამსახურიდან მოხსნა ან დაითხოვა). სამუშაო, სამსახური ის ადგილია, — ის დაწესებულება თუ ორგანიზაცია, სადაც ვმუშაობთ, ვმსახურობთ. მათში ადგილის ხემანტიკაა წინ წამოწეული და ამიტომ ეს სახელები ადგილის ხემანტიკის სახელებთან არიან გათანაბრებული. ამით არის გამართლებული -გან თანდებულებიანი მოქმედებითის -(-)იდან დაბოლოება შესიტყვებაში სამუშაოდან (სამსახურიდან) გაათავისუფლა.

ჩვეულებრივ, -გან თანდებულებიანი მოქმედებითი იხმარება შესიტყვებაშიც — პატიმრობიდან გაათავისუფლა (მაგ.: „საქართველოს სსრ უმადლესმა სსსამართლომ... არასრულწლოვანი ბ. პატიმრობიდან გაათავისუფლა“. — „თბილ.“), თუმცა მოსალოდნელი და მართებული

-გან თანდებულებანი ნათესაობითი (პატიმრობისაგან გაათავისუფლა) იყო. (მდრ.: მონობისაგან, კოლონიზატორთა პატონობისაგან გაათავისუფლა). ამგვარ წარმოებას, როგორც ჩანს, სახელის შინაარსობრივი გააზრებება — პატიმრის და საერთოდ პატიმრობის გარკვეულ აღილებთან (საპატიმროსთან) დაკავშირება იწვევს. ამის მიხედვით გვაქვს პატიმრობიდან გაათავისუფლა (იერაუღება: საპატიმროდან გაათავისუფლა), მაგრამ: პატიმრობისაგან იხსნა (პატიმრის მდგომარეობა ააცილა, პატიმრობას გადაარჩინა).

3. შედეგება ზმნასთან სახელი -გან თანდებულებანი ნათესაობითის ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი: შედეგება მოწინავე ინტელიგენციისაგან, მუშა-მოსამსახურეებისაგან, სტუდენტობისაგან, მოსწავლე ახალგაზრდობისაგან, მშრომელი გლეხობისაგან; რთული მექანიზმებისაგან, რკინა-ბეტონის კარკასებისაგან, სხვადასხვა ნაწილებისაგან; ასევე: კრებული შედეგება ცალკეული ნაშრომებისაგან, ბოლო დროს გამოქვეყნებული ლექსებისაგან (მაგრამ: საილუსტრაციო მასალა ამოკრებილია ცალკეული ნაშრომებიდან, ბოლო დროს გამოქვეყნებული ლექსებიდან).

**ბანაბრებობს** ზმნა თანამედროვე ქართულში ძირითადად ზოგადი მოქმედების სახელებს უკავშირდება, მისი სინონიმი გააგრძელებს (იხ.) კი უფრო კონკრეტულ დროულ ანდა სივრცობრივ გაგრძელებას გამოხატავს.

**ბანათლება.** თანამედროვე ქართულში ეს სიტყვა მჭიდროდ დაუკავშირდა სინონიმურ სიტყვას — სწავლას და მასთან კავშირში რთული სიტყვაც კი აწარმოვა: სწავლა-განათლება. მაგრამ ამ სიტყვების აბსოლუტურ სინონიმებად გაგებას უმართებულო შესიტყვებათა შექმნა და სხვადასხვაგვარი აღრევა მოჰყვა. მათ შესახებ დაწვრილებით იხ. სწავლა-განათლება.

**ბანაბრობებს.** სახელი პირობა ფუძედ აქვს გამოყენებული ზმნურ და მიმღობურ ფორმებს: აპირობებს, განაპირობებს, შეაპირობებს, განაპირობებულო, შეპირობებულო... ეს სიტყვები სალიტერატურო ენის გარკვეული სტილის კუთვნილებაა — გაზეთისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვისაა დამახასიათებელი.

**შეაპირობებს** ნიშნავს: პირობად, საფუძვლად დაედება, გარკვეული პირობით განსაზღვრავს რისამე შესრულებას.

**პირობა** რაიმე დადებითი მოვლენის, ფაქტის წარმომშობი, საფუძველი, საწინდარია. პირობას დადებითი შედეგი მოსდევს. უარყოფით მოვლენას (ფაქტს, შედეგს) კი მიზეზი იწვევს (იხ. მიზეზი — პირობა). მაგ.: გამარჯვების პირობა, მაგრამ: დამარცხების მიზეზი. წინსვლის პირობა, მაგრამ: ჩამორჩენის მიზეზი... ამიტომ შეუფერებელი, მცდარი შესიტყვებებია, ერთი მხრივ, გამარჯვებას (წარმატებას, წინ-

სელას...) გამოიწვევს და, მეორე მხრივ: **დამარცხებას** (უკანსელას, ჩამორჩენას...) **განაპირობებს**.

ამ ფონზე უცნაური ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართულ ენაში იხმარება გამოთქმა: **ამ მიზეზითაა შეპირობებული**, რაც სიტყვათშეხამების თვალსაზრისით მოულოდნელია. უმართებულოა. ზემოაღნიშნული ნიუანსური სხვაობის გამო **შეპირობება** შეიძლება რაიმე პირობით. მაგრამ **პირობითაა შეპირობებული** ტავტოლოგიური გამონათქვამი იქნებოდა. ჩანს, ენამ გვერდი აუარა ასეთ ტავტოლოგიას და სიტყვა **პირობა** შეცვალა ანალოგიურ კონსტრუქციებში გამოყენებული **მიზეზი**- სიტყვით.

სამაგიეროდ, სავსებით დასაშვებია, მართებული შესიტყვებაა — **ამ მიზეზით არის გამოწვეული**, რადგან სხვადასხვა ძირის სიტყვები გვაქვს და ტავტოლოგიის საფრთხეც არ იქმნება; ამავე დროს ეს ორი სიტყვა სემანტიკურადაც ეხამება ერთმანეთს.

იმავე **პირობა** სახელისაგან ნაწარმოები **განაპირობებს** ზმნა უმართებულოდ გამოუყენებით გამონათქვამში — **უკანსელას განაპირობებს**: „უკანსელა... შრომის ორგანიზაციის დაქვეითებამ, ცუდმა ხელმძღვანელობამ განაპირობა“ („კომ. დროშა“). აქ სიტყვები შინაარსობრივად შეუხამებელია, რადგან **განაპირობებს** ნიშნავს: პირობად, საფუძვლად დაედება, განსაზღვრავს რაიმეს; შესაფერ გარემოს, პირობებს შეუქმნის რაიმეს: რისამე წარმოშობის პირობად აქცევს, რაიმეს წარმოშობას უზრუნველყოფს. ხოლო **უკანსელა** შეიძლება იყოს არა **განაპირობებული**, არანედ რაღაც **მიზეზით გამოწვეული**. ამიტომ ამ წინადადებაში უნდა ეხმარათ: **უკანსელა... ცუდმა ხელმძღვანელობამ გამოიწვია**.

**ბანაჩენი** სამართლებრივი ტერმინია და იხმარება სასამართლოს სამსჯავრო სხდომის მიერ ბრალდებულის ბრალეულობის ან არაბრალეულობის გამო გამოტანილი (მიღებული) დასკვნის, გადაწყვეტილების აღსანიშნავად. მამსადაამე, იგი არის გადაწყვეტილება ბრალდებულის დასჯისა და მისი სახის შესახებ და არა თვით დასჯის ფორმა, სასჯელი. ამიტომ **განაჩენი** შეიძლება დახასიათდეს, შეფასდეს სამართლებრივი თვალსაზრისით. ამის შესაბამისად ბუნებრივი შესიტყვებები იქნებოდა: **ღმობიერი განაჩენი, მკაცრი, სამართლიანი, არასამართლიანი** და მისთ. **განაჩენი**. უმართებულო შესიტყვებებს ქმნის **განაჩენ** სიტყვასთან ისეთი სახელების გამოყენება, როგორიცაა: მძიმე, მსუბუქი, მტკივნეული, უმტკივნეულო და მისთ. შდრ.: „**მსუბუქი** [უნდა იყოს: **ღმობიერი**] **განაჩენი** გამოგვქონდა ჩვენთვის“ („საუნჯე“).

ასევე უმართებულოდ დაუკავშირებიათ სიტყვა **განაჩენთან** მსაზღვრელად **საბრალდებო**, რომელიც აგრეთვე სამართლებრივი ტერმი-

ნია და ნიშნავს ბრალდებისათვის განკუთვნილს, ბრალდების შემცველს. მყარი გამოთქმაა **საბრალდებო დასკვნა**, რაც მოიცავს ბრალდებულებისათვის წაყენებული ბრალდების (ან ბრალდებათა) შინაარსს, დანაშულის ჩადენის პირობებისა და ვითარების, დანაშულის მოტივების აღწერას. საბრალდებო დასკვნა იკითხება სასამართლოზე საქმის გარჩევის დაწყებისთანავე, განაჩენი კი, ბუნებრივია, შემდგომ გამოიტანება.

მაშასადამე, **განაჩენი და საბრალდებო დასკვნა** ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული იურიდიული ტერმინებია (საბრალდებო დასკვნისა და სასამართლო პროცესის შედეგი არის განაჩენი, რომელსაც ბრალდებულს გამოუტანენ). ამ ტერმინების ლოგიკური კავშირისა და ამის საფუძველზე მათი აღრევის გამო უხმარიათ ახალი—უმართებულო, კონტამინირებული შესიტყვება — **საბრალდებო განაჩენი**. მაგალითად: „ისტორიამ უკვე დიდი ხანია გამოუტანა იმპერიალიზმს **საბრალდებო განაჩენი** [უნდა ყოფილიყო: მკაცრი განაჩენი გამოუტანა]“ („სახოვად.“). თუმცა მოყვანილ წინადადებაში **საბრალდებო განაჩენი** ფიგურალურადაა ნახმარი, მაგრამ გამოთქმის ხატოვანი, ვადატანითი მნიშვნელობით ხმარება მაინც ვერ ამართლებს **განაჩენისა და საბრალდებოს** ერთ შესიტყვებად გაერთიანებას.

**განახვნა, განიხვნა**. პირიანი ზმნა **განახვნა** ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვა იყო და ნიშნავდა: გაალო, გახსნა (მრავალი). იგი ენაცვლებოდა **გაალო** ზმნას იმ შემთხვევაში, თუ სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ნარიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით იყო წარმოდგენილი: **გაალო** ბჭმ, კარი, მაგრამ: **განახვნა** ბჭენი, კარნი).

თანამედროვე ქართულში **განახვნა** მხოლოდ პოეტურ მეტყველებაში თუ გამოჩნდება ზოლმე; ამისთან, იგულისხმება, რომ მისი შემცველი შესიტყვება სემანტიკურად უნდა შეესაბამებოდეს კონტექსტს და, ამავე დროს, ძველი ქართულის სინტაქსური ყალიბის მიხედვით იყოს გამართული. აქედან გამომდინარე, სრულიად გაუმართლებელია სტილისტიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით **განახვნა** ზმნის გამოყენება შემდეგ წინადადებაში: „ერთ მშვენიერ დღით, ცოლმა **საქათმის კარი განახვნა** [უნდა იყოს: გაალო, გახსნა] და რა ნახა: მეფრინელეობის საინკუბატორო სადგურში ნაყიდ და კრუხს მისმულ 48 წიწილას (არც მეტი, არც ნაკლები) კისრები ჰქონდათ დაღრღნილი“ („ივრ. განთ.“), აქ, გარდა კონტექსტური შეუსაბამობისა, დარღვეულია გრამატიკული ნორმაც: **განახვნა** ზმნასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტი **კარი** ნარიანი მრავლობითის ფორმით (კარი) უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. სხვა მაგალითები: „მან კი, ვილაცეების მხრებზე გულ-

აღმა მწოლარემ, ყრუდ დაიგმინა, რადგან ჭერი სადაცაა დამთავრდებოდა. უცებ თითქოს ამაღლდა კიდეც, მის წინ **განიხვნა** [უნდა იყოს: გაილო] **ხახა** — სიბნელით დაგმანული, მსახურები წელში გასწორდნენ და მაღლიდან სახეზე მიღებული მთეარის შუქი დაეცა“ („ლიტ. საქ.“): „საკონსტრუქტორო ბიუროს ვეება შენობა ფუტკრის უშველებელ სკასავით აზუზუნდა, ყველა კარი თითქმის ერთდროულად **განიხვნა** [უნდა იყოს: გაილო, გაიხსნა] და თანაწმრომლები ისე უცებ გამოცვივდნენ დერეფანში, თითქოს ჩაცმულ-დახურულნი დირეებზე იდგნენ და სასტარტო ნიშანსდა ელოდნენ“ („ცისკ.“). ამ მაგალითებში დარღვეულია შორფოლოგიური ნორმაც: **განიხვნა**, როგორც ვნებიითის ფორმა, არ არსებობს, სუბიექტის მრავლობითობა კი **განიხვნეს** ფორმით გადმოიცემა.

**განახორციელებს, განხორციელდება, განახორციელებს** ზმნის მნიშვნელობა: სინამდვილედ აქცევს, ხორცს შეასხამს, შეასრულებს: „საქმე იმისთანა თვისებისაა, რომ უსათუოდ თეორია პრაქტიკით უნდა **განახორციელონ**“ (ილია); „პარტიული ორგანიზაცია **განახორციელებს** საკირო ღონისძიებებს... ქარხანაში“ („კომ.“)... მაგრამ ამ ბოლო ხანებში **განახორციელებს** ზმნამ, ისევე როგორც მისმა ვნებიითის ფორმამ **განხორციელდება**, გაიფართოვა მოხმარების არე, სხვა მნიშვნელობებიც შეიძინა და თითქმის ენობრივ შტამპად იქცა.

1. **განახორციელებს ნაგებობას, განახორციელებს**, მართალია ნიშნავს: სისრულეში მოიყვანს, შეასრულებს... მაგრამ ენაში იგი ამ მნიშვნელობითაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ გარკვეული რიგის სიტყვებს უკავშირდება, როგორიცაა: **მიზანი, იდეა, ჩანაფიქრი, ოცნება, გადაწყვეტილება** და მისთ. და მისი გამოყენება თუნდაც აღნიშნული შინაარსით ისეთ სახელებთან, რომლებთანაც სხვა ზმნები, ქართული ანდა უფრო ბუნებრივ სინტაგმებს შექმნიდნენ, არ არის მიზანშეწონილი. მაგალითად: „მათთან ერთად მეტად რთულ პირობებში **ახორციელებენ** [უნდა იყოს: აგებენ, აშენებენ] თბილისის მეტროპოლიტენის მონუმენტურ **ნაგებობას**“ („საქ. ქალი“); „ტყეები **ახორციელებენ** [უნდა იყოს: ახდენენ] **ზეგავლენას** არა მარტო თავის აღმონაცენის ფართობზე, არამედ გარემომცველ ფართო სივრცეზეც“ („საქ. ბუნ.“). „შღრ.: „ამან... საგარძნობი **ზეგავლენა მოახდინა** მხატვრულ ლიტერატურაზე“ („ლიტ. და ხელოვნ.“). „თუ უმოკლეს დროში არ **განახორციელებენ** [უნდა იყოს: არ მიიღებენ] მკაცრ **ზომებს**... სასტიკად დაისჯებიან“ („თბილ.“); „მათ წარმატებით **განახორციელებს** [უნდა იყოს: შეასრულებს] გათვალისწინებული **გეგმა**“ („საქ. ბუნ.“); „წარმატებით **განახორციელოთ** [უნდა იყოს: შეასრულოთ] სოფელზე [სოფლისათვის!] მიცემული ყველა **დავალება**“ („განთ.“, ეანი)...

2. **განახორციელებს დარგვას.** განხორციელება შენახვა. თანამედროვე ქართულში ხშირად ზმნები **განახორციელებს, განხორციელება** დაკავშირებულია საწყისის ფორმებთან და ქმნის ისეთ სახელურ-ზმნურ შესიტყვებებს, რომლებშიც, ჩვეულებრივ, ზმნა შინაარსისაგან დაკლილია და დამხმარე როლსა ასრულებს, ხოლო სემანტიკური ფუნქცია მთლიანად საწყისს (ან მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ საბელს) ეკისრება. ასეთებია: განახორციელებს მოვლას, განახორციელა დამუშავება, განხორციელდა გარდაქმნა, განხორციელდა ავსება და სხვ. აღნიშნული ტიპის გამოთქმები, უპირატესად, ოფიციალური და წიგნური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და მათი შენაცვლება, ძირითადად, ადვილად ხერხდება შესატყვისი მარტივი ზმნებით (განახორციელებს მოვლას — მოუვლის, განხორციელდა გარდაქმნა — გარდაიქმნა...). ამ სახის სიტყვათშეხამებათა ენაში გამოყენება თუ ზოგჯერ გამართლებული და კანონზომიერია, უმეტეს შემთხვევაში ისინი (განსაკუთრებით, რომლებშიც გარდამავალი **ახორციელებს ზმნა** მონაწილეობს) ენაცვლებიან ქართულისათვის უფრო ბუნებრივ მარტივ ზმნა-შემასმენლებს, და სტილისტიკურად ასეთი გამოთქმები მიუღებელია.

ამდენად, ენობრივად დასახვეწია შემდეგი წინადადებები: „მეტურ-ნეობა ტყის კულტურების ნარგავების მოვლას ყოველწლიურად 3000 ჰექტარზე **ახორციელებს** [უნდა იყოს: ნარგავებს 3000 ჰექტარზე უვლის]“ („საქ. ბუნ.“); „მოკლე დროში **განახორციელოთ** აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების **აღება** [უნდა იყოს: ავიღოთ აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები]“ („ახ. ცხოვრ.“); „ნანამ ჯერ პაიკის **შეწირვა განახორციელა** [უნდა იყოს: ჯერ პაიკი შესწირა], შემდეგ ფიგურაც არ დაიშურა“ („საქ. ქალი“); „სახელოსნოს კოლექტივი წელს პირველად **განახორციელებს** ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების **შეკეთებას** [უნდა იყოს: შეაკეთებს ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანებს]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საბჭოთა კავშირში პირველად **განხორციელდა** ათასობით სული სასუქი პირუტყვის დაუბმელი **შენახვა** [უნდა იყოს: პირველად შეინახეს პირუტყვი დაუბმელად]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „გასული წლის აგვისტოში **განხორციელდა** რაიკომის აპარატის სტრუქტურის **გარდაქმნა** [უნდა იყოს: გარდაიქმნა რაიკომის აპარატის სტრუქტურა]“ („კომ.“); ასეთივეა: „**ხორციელდება** ავსება [უნდა იყოს: ივსება]“ („მეცნ. და ტექნ.“); „**განხორციელდა** გაუმჯობესება [უნდა იყოს: გაუმჯობესდა]“ („კომ.“); „**განხორციელდა** გამოცემა [უნდა იყოს: გამოიცა]“ („წიგნ. სამყ.“); „**განხორციელდა** დამუშავება [უნდა იყოს: დამუშავდა]“ („კომ.“) და სხვ.



**განიცდის.** განცდა ამა თუ იმ მოვლენისაგან მიღებული ზოგადი გრძნობითი შთაბეჭდილებაა. იგი გულისხმობს ძლიერ ემოციურ მდგომარეობს (შიშის განცდა, სიხარულის განცდა...). **განიცდის** ნიშნავს: აქვს განცდა, გამსჭვალულია რაიმე განცდით, გრძნობს: „მე სულელს რა მატირებდა?! რა განვიცადე ისეთი?...“ (ვჟაჟ); მოვიგონოთ, როცა დინჯი ალაზანიც **განიცდიდა** შორეული ვოლგის ტივილს!“ (ი. ნონეშ.). ძველ ქართულში ეს ზმნა ხედვასა და ჭკრეტასაც აღნიშნავდა: „ხელმან შენმან **განვიცადენ** სინატიფე-სიტურფენი“ (რუსთ.).

**განიცდის** ზმნას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, აქვს გადატანითი მნიშვნელობაც. ამ ფუნქციით ის მეშველი ზმნის როლს ასრულებს. მაგრამ, ვინაიდან ამ ზმნას არ დაუკარგავს კავშირი ამოსავალ მნიშვნელობასთან, იგი შეეხამება უარყოფითი შინაარსის მქონე აბსტრაქტულ სახელებს. ეს სახელებია: **მარცხი, წარუმატებლობა, დამარცხება...** ამათგან პირველი ორი უფრო ზოგადი შინაარსისაა, ზოლო მესამე (**დამარცხება**) კი — კონკრეტული (**გამარჯვების** საპირისპირო) შინაარსისა.

თუმცა **მარცხი** და **დამარცხება** საერთო ფუძის მქონე სიტყვებია და ორივე შეეხამება **განიცდის** ზმნას, მათი ნებისმიერი გამოყენება და მონაცვლეობა სავსებით ანალოგიურ კონტექსტებში მიზანშეწონილი არ არის: **დამარცხება** თავისთავად მუდამ **მარცხს** გულისხმობს, მაგრამ არა პირუკუ: **მარცხი** შეიძლება **დამარცხებას** არ ნიშნავდეს (მაგ.: სპორტულ შეჯიბრებაში გუნდისათვის ფრეც შესაძლებელია **მარცხის** ბადალი იყოს, და არა მხოლოდ ნამდვილი **დამარცხება**). შდრ. „მეფემ მხოლოდ მაშინ იგრძნო, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინა და რა **მარცხი** **განიცადა**“ (გ. აბაშ.).

ამიტომ აბსტრაქტული შინაარსის გამოსახატავად **მარცხს** და **მარცხება** ვერ ცვლის, თუმცა პირუკუ — **დამარცხების** ნაცვლად **მარცხის** ხმარება ჩვეულებრივია. მაგ.: „სეზონის დასაწყისში ეს გუნდი **მარცხს** **მარცხზე** **განიცდიდა** [უმჯობესია: ზედიზედ **მარცხდებოდა**, **დამარცხებას** **დამარცხება** მოსდევდა]“ („ლელო“); „შოტლანდიელი ფეხბურთელები ფავორიტებად ითვლებოდნენ თავიანთ ქვეყნუფში, ... მაგრამ მათ **მარცხი** **განიცადეს** [უმჯობესია: ისინი **დამარცხდნენ**] პერუსთან...“ („ლელო“); „ბაქოს „ნეფთჩიმ“ თავის მინდორზე **მარცხი** **განიცადა** [აჯობებდა: **დამარცხდა**] დონეცკის შახტიორთან შეხვედრაში...“ („ლელო“).

სწორი ხმარებისათვის შდრ.: „მეცხრე ტურში უკვე კუზმინამ **განიცადა** პირველი **დამარცხება**“ („კომ.“); „საქართველოს ჩემპიონატის მეცხრე ტურში პირველი **დამარცხება** **განიცადა** გათამაშების ლიდერმა ზ. სტურუამ...“ („კომ.“).

ზოგჯერ **დამარცხება** სიტყვას ასეთსავე „კონკრეტულ“ კონტექსტებში ზოგადი მნიშვნელობის სხვა სიტყვა — **წარუმატებლობა** ენაცვლება. **განიცადეს წარუმატებლობა**. მაგ.: „მოსკოვის „ტორანდო“ ჩემბონატის სტარტზე ლიდერთა შორის იყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ რამდენიმე მატჩში **წარუმატებლობა** განიცადა“ („საბჭ. აფხაზ.“); „ქუთაისის „ტორპედო“... აღმა-ატაში თამაშობდა და **წარუმატებლობა** განიცადა, დამარცხდა ანგარიშით 0:2“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ასეთ აღწერით გამოთქმებში სემანტიკური დატვირთვა ძირითადად სახელწმინაზე მოდის, რომელიც სინტაქსურად ზმნის პირდაპირი ობიექტის როლს ასრულებს (**მარცხს განიცდის იგი — მარცხი განიცადა მან**), ხოლო ზმნა მთლიანად დაცლილია სემანტიკისაგან და შემოიფარგლა მხოლოდ ზმნის გრამატიკული კატეგორიების (პირის, რიცხვის, დროს, კილოს...) აღნიშვნით.

**განიცდის** ზმნის ამგვარი ფუნქციით გამოყენებაზე გარკვეულ გველენას ახდენს რუსული **терпит** ზმნის შემცველი კონსტრუქციები, რომელთა კალკირებულ ვარიანტებს წარმოადგენს ქართული გამოთქმები: **მარცხს, დამცირებას განიცდის** (რუს. < **терпит поражение**), **ავარია განიცადა** (< **потерпел аварию, крушение**), და სხვ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქართულისათვის არაბუნებრივი გამოთქმები უნდა შეიცვალოს შესიტყვების სახელადი ნაწილის ან მისი სინონიმის ზმნად ქცევის გზით. მაგ.: „თვითმფრინავმა, რომელშიც იმყოფებოდა გერმანიის შეიარაღებულ ძალთა ოფიცერი, ბელგიის ტერიტორიაზე გადაფრენისას, **განიცადა ავარია** [უნდა იყოს: ავარია მოუვიდა, ავარიაში მოჰყვა / მოხვდა]“ („ახ. კომ.“). „სმაჯულთა ეპოქაში ისრაელმა სამოქალაქო ომები და რელიგიური ერთიანობის რყევა **განიცადა**, [უნდა იყოს: ერთიანობა შეირყა]“ (ფ. ბერ., თარგმ.); „ახლა ბერლინიდან ბევრი მკაცრი კრიტიკა **განიცადა** [უნდა იყოს: [იგი] მკაცრად გააკრიტიკეს]“ (გ. შალამბ., თარგმ.); „ორჯერ ნასამართლევ კ. ს-ს სოხუმში კარგად იცნობდნენ, მილიციის მკაცრ **ზედამხედველობას** **განიცდიდა** [ზედამხედველობას, მეთვალყურეობას უწევდნენ]“ („თბილ.“); „დიდი და საინტერესო გეგმების გარეშე წარმოუდგენელია წარმოვიდგინოთ თეატრი... რომელიც მუდმივ **განვითარებასა** და **ზრდას** **განიცდის** [უნდა იყოს: მუდმივად/განუზრებლად ვითარდება და იზრდება]“ („ახ. კომ.“); „ზოგჯერ **შეფერხებას** **განვიცდით** [უნდა იყოს: ვფერხდებით, შეფერხება გვაქვს] იმის გამო, რომ ჭიათურის სადგური ხშირად უხარისხო ვაგონებს გავწვდის...“ („ახ. კომ.“); „**განვიცდით** კადრების **ნაკლებობას** [უნდა იყოს: გვაკლია კადრები]“ („საბჭ. ხელოვნ.“). ზოგჯერ საჭირო ხდება მთელი კონსტრუქციის შეცვლა და წინადადების სხვაგვარად აგება. მაგ.: „არცერთმა საბჭოთა ოჯახმა არ

უნდა განიცადოს ბინის ნაკლებობა [უნდა იყოს: უბინაოდ არც ერთი საბჭოთა ოჯახი არ უნდა დარჩეს]“ („გამარჯვ. გზა“).

**განლაგება; განლაგებული.** სემანტიკურად ერთიმეორესთან ახლოს მდგომი სიტყვების — **განლაგება** (განლაგებული; განლაგებუ-ლია, განლაგეს), **მდებარეობა** (მდებარე, მდებარეობს), **დასახლება**, **დაბინავება** და **ცხოვრება** (მცხოვრები; ცხოვრობს) — მოხმარების არე-თანამედროვე ქართულში ამგვარადაა გამიჯნული: 1. **განლაგება** და **მდებარეობა** იხმარება საგანთა, დასახლებულ პუნქტთა, გეოგრაფიულ ობიექტთა გარკვეულ ადგილზე არსებობის გამოსახატავად: თუ შესი-ტყვება უბასუხებს კითხვას **როგორ?** — მაშინ გამოიყენება **განლაგება** (განლაგებული; განლაგეს); ხოლო, თუ კონტექსტით ივარაუდება კი-თხვა **სად?** — ამგვარ შემთხვევაში იხმარება **მდებარეობა** (მდებარე; მდებ-არეობს); **მცხოვრები** (ცხოვრობს), **მობინადრე** (ბინადრობს) და **მოსახ-ლე** (სახლობს). 2. **განლაგება (განლაგებული...)** ძირითადად უსულო საგანთა კანონზომიერ დაწყობა-დალაგებას აღნიშნავს (გამონაკლისის სახით დასახლებული სიტყვები იხმარება სულიერი საგნის აღმნი-შვნელ კრებით სახელებთანაც — **ჭარი, ხალხი, მოსახლეობა**, — თუ მათს საბრძოლო ხაზზე დაწყობის ან გარკვეული გეგმით, კანონზო-მიერებით განლაგების შესახებ არის საუბარი); **მდებარეობა** (მდებარე; მდებარეობს) უსულო საგანთა მუდმივ არსებობაზე მიუთითებს; ხოლო სიტყვები **დასახლება, დაბინავება და ცხოვრება** (მცხოვრები, ცხოვრობს...) აღამიანთა საღმე ცხოვრება-მყოფობის სემანტიკას გამოხატავს.

თანამედროვე პრესის ენაში ზოგჯერ არ არის გათვალისწინებული ამ სიტყვათა შორის არსებული ნიუანსური სხვაობა და უმართებულოდ უნაცვლებენ მათ ერთიმეორეს. სახელდობრ: 1. **ხალხი, მოქალაქეები, აღამიანები** და ა. შ. ტიპის სახელებთან შეხამებულია **განლაგება (გან-ნლაგებულია)**: „**მოქალაქეთა...** დაცვის საუკეთესო საშუალებად ით-ვლება მათი სოფლად **განლაგება** [სწორია: დასახლება, დაბინავება]“ („წინსვ.“); „...**ხალხის** გაყენა ქალაქგარეთ და მათი **განლაგება** [სწო-რია: დასახლება, დაბინავება] სოფლად დროული და ეფექტური იქ-ნება“ („წინსვ.“); „**ქალაქგარეთ... განლაგებული** [სწორია: დასახლე-ბული, დაბინავებული] **აღამიანებისათვის** აუცილებლად საჭირო იქ-ნება...“ („წინსვ.“); „ხოლო იმ **მომხმარებლებს**, რომლებიც **განლაგებუ-ლი არიან** [სწორია: ცხოვრობენ, ბინადრობენ] ყოველწლიური გეგ-მით მშენებარე გაზსადენების ირგვლივ მისი მშენებლობის პროცესში და სექსპალუატიციოდ ჩართვამდე, დროულად უნდა მოამზადონ ღუ-მელები“ („თბილ.“); „თხევადი გაზის განთავისუფლების მიზნით ამ გა-ზით მოსარგებლე **აბონენტებს**, ასევე სამრეწველო, კომუნალურ-სა-

ყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების **ხელმძღვანელებს**, რომლებიც **განლაგებული არიან** ქუჩებზე, სადაც მოქმედებს ბუნებრივი გაზის სადენი, წინადადება ეძლევათ...“ („თბილ.“). ბოლო წინადადება მთლიანად უნდა გაიმართოს სტილისტიკურად: თხევადი გაზის ეკონომიის მიზნით **აბონენტებსა და სამრეწველო...** ობიექტების **ხელმძღვანელებს**, რომლებიც **ცხოვრობენ** იმ ქუჩებზე, სადაც უკვე მოქმედებს ბუნებრივი გაზის სადენი, წინადადება ეძლევათ...

2. სიტყვებთან — **სარდაფები, აფთიაქი, სასტუმრო, სახლები** და მისთ.—შესიტყვებას ქმნის **განლაგება (განლაგებული)** იმ შემთხვევაშიც, როდესაც მითითებულია უბრალოდ მათს რომელიმე ადგილას არსებობაზე: „**სარდაფები და ნახევარსარდაფები**, რომლებიც **განლაგებული არიან** [სწორია: მოთავსებულია] ქუჩის მიწისქვეშა გაზსადენის ორივე მხარეს...; ექვემდებარებიან სისტემატურ და გეგმურ შემოწმებას“ („თბილ.“); „უფართო ტროტუარების მიღმა... **განლაგებულია** [სწორია: მოთავსებულია] **აფთიაქი, სასტუმრო...** და საყოფაცხოვრებო მომსახურების **ობიექტები**“ („კომ.“); „წლების განმავლობაში ისევ ისე ღიად მოედინება პურკომბინატის და აქ **განლაგებული** [სწორია: მდებარე] **სახელებიდან** გამომდინარე... წყალი“ („კომ.“).

**განუწყვეტილი** იგივეა, რაც გაბმით, შეუწყვეტლივ, შეუჩერებლად, მუდმივად.

**განუწყვეტლივ** ბუნებრივ შესიტყვებას შექმნის ზმნასთან, თუ იგი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს, არ შეწყდეს ხანგრძლივი დროის მანძილზე. ბუნებრივი გამოთქმებია: **განუწყვეტლივ** ისმობდა ზღვის ხმაური, ჩიტების ჭიკჭიკი, ნაკადულის რაკრაკი...

ანტონიმური (საპირისპირო) მნიშვნელობა აქვთ ზმნისართებს **დროდადრო, დროგამოშვებით, ხანგამოშვებით, ხანდახან (დროდადრო** სამრეკლოდან ზარების რეკვა ისმობდა).

**განუწყვეტლივ** ბუნებრივ შესიტყვებას ვერ შექმნის ზმნასთან **მონაწილეობს**, რადგან **მონაწილეობა** არ შეიძლება იყოს **განუწყვეტელი** — გაბმული, შეუწყვეტელი, შეუჩერებელი, მუდმივი. **მონაწილეობას** შეიძლება ჰქონდეს **სისტემატური** (მუდმივ განმეორებადი) ან **პერიოდული** (დროდადრო განმეორებადი) ხასიათი. ვინმე რაიმე ღონისძიებაში შეიძლება **მონაწილეობდეს ხშირად** ან **იშვიათად**.

ზმნისართთა ამგვარ შერჩევას ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს. **მონაწილეობს** ზმნით ნავარაუდევია მოქმედება საწარმოებლად აღებულ წილ- ნაწილ- ფუძეთა გამო მუდამ **ნაწილობრივ** ხასიათს ატარებს. ეს მოქმედება არ შეიძლება **ერთიანი, გაბმული, შეუწყვეტელი** იყოს.

განუწყვეტლივ მონაწილეობს მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუ-  
ხამებელი შესიტყვებაა: „რამდენადმე ცალკე დგას საკავშირო ჩემ-  
პიონატების ვეტერანი ტაიმანოვი. იგი 50 წლისაა, სულაც არ კარგავს  
ოპტიმიზმს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტაიმანოვი განუწყვეტლივ  
მონაწილეობს შეჯიბრებებში და ახლაც საბრძოლოდ არის განწყობი-  
ლი“ („თბილ.“); „იგი 'ვ. პორტი' განუწყვეტლივ მონაწილეობს ტურ-  
ნირებში, რომლებიც ჩეხოსლოვაკიასა და საზღვარგარეთ იმართება“  
(„თბილ.“). უნდა იყოს: სისტემატურად მონაწილეობს შეჯიბრებებში,  
ტურნირებში... (შდრ.: „უუუ ვერეცი სისტემატურად მონაწილეობს  
სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირებში“, — „კომ.“).

ანტონიმური მნიშვნელობა აქვს შესიტყვებას პერიოდულად (იშ-  
ვიათად, ხანგამოშვებით, დროდადრო) მონაწილეობს შეჯიბრებებში.

განუსხრებლად ზმნისართი ნიშნავს: პირდაპირ, მტკიცედ, ურყე-  
ვად, რაიმე გადახვევის გარეშე, სწორხაზოვნად, თანმიმდევრულად. ამ  
სიტყვის ხმარება განსაკუთრებით ბოლო ხანებში გახშირდა; ის, ჩვეუ-  
ლებრივ, დადებითი შინაარსის შესიტყვებებში გამოიყენება ხოლმე,  
თანაც, უპირატესად ისეთ ზმნებთან, რომლებიც განგრძობით მო-  
ქმედებას, პროცესს გადმოსცემენ. მაგ.: განუხრებლად ასრულებს, განუ-  
ხრებლად ატარებს, განუხრებლად ახორციელებს, განუხრებლად მისდევს.  
„ჩვენი მთავრობა განუხრებლად ატარებს ქვეყნიერების ყველა ხალ-  
ხთან მშვიდობის პოლიტიკას“ („კომ.“); „დიდი ბელადის... საპროგრამო  
მიზნობებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუ-  
ხრებლად ახორციელებენ“ („კომ.“)...

უარყოფითი შინაარსის შემცველ ზმნებთან ზმნისართი განუხრე-  
ლად არ იხმარება. მაგ., არ ითქმის: განუხრებლად არ ახორციელებს,  
განუხრებლად აფუჭებს, განუხრებლად ამსხვრევს, განუხრებლად უკან-  
სვლა და სხვ. ამიტომაც ისეთ უარყოფით შინაარსთან, როგორც აქვს  
კარგავს ზმნას, ამ ზმნისართის ხმარება გაუშარბლებელია. მაგ.: „მათმა  
კანდიდატმა არათუ ვერ მიიღო საჭირო უმრავლესობა, არამედ ტური-  
დან ტურამდე განუხრებლად კარგავდა მიცემულ ხმებს“ („საქ. კომ.“).

ასევე უხერხული შესიტყვებაა განუხრებლად შემოიპარება. მაგ.:  
„ჩვენი სიტყვიერების საზღვრების ღიად დატოვებით საშუალებას მიე-  
ცემთ განუხრებლად შემოიპაროს და შემოიჭრას უცხო სიტყვები ჩვენს  
სიტყვიერებაში“ (მ. აბაშ.).

მსგავს შემთხვევაში უნდა იხმარებოდეს რომელიმე ამათგანი:  
განუწყვეტლივ, სულ, მუდამ, თანდათან, სისტემატურად.

გარდახდილი დღეები. გარდახდილი ძველი ფორმაა მიმღეობი-  
სა გადახდილი, რომელიც მიღებულია გა(რ)დახდა ზმნისაგან. მისი

ერთ-ერთი მნიშვნელობაა: შეემთხვა, დაემართა, ცუდი რამ მოუვიდა. მაგ.: „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“ (ანდ.); „რაც გადამხდა, იქნება იმის ღირსიც ვიყო“ (ილია).

მაშასადამე, ამ ზმნით გამოხატული მოქმედება სუბიექტისათვის არასასურველი, ნეგატიური შინაარსის მქონეა. ამიტომ ობიექტად მხოლოდ უარყოფითი ემოციების აღმძვრელი აბსტრაქტული სახელები შეეხამება: „შენად ძებნად წამოსრული, დიდთა ჭირთა გარდახდილი“ (რუსთ.); „შინ დაბრუნებულ როსტომს... საინტერესო ამბები მოუტანია ქვეყნის გასაბედნიერებლად გარდახდილი ბრძოლის შესახებ“ (დ. კლ.); „დიდი ჭირი გადამხდა“ (ე. ნინოშ.); „ვინ მოსთვლის, რამდენი ბრძოლა გადაეხადათ ამათ“ (ნ. ლომ.); „გადავიხადეთ ომი ცხარეო (ბაჩ.); „მაგრამ ის ომიც გადამხდა მკაცრი...“ (ე. კალ.). ომი გადაიხადა, ომი აქვს გადახდილი — მყარი შესიტყვებებია. აქედანაა მიღებული რთული სიტყვაც — **იმგადახდილი**.

**გარდა-** ზმნისწინით ნაწარმოები ნამყოს მიმღეობები, რომლებიც ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, თანამედროვე სალიტერატურო ქართულს თითო-ორთლია შემორჩა (**გარდასული, გარდაქმნილი, გარდაცვლილი...**). **გარდასული** ასევე ძველი, წიგნური ფორმაა. ნიშნავს განვლილს, წარსულს: „ხოლო ეს ჭირი და ვაი-გავლახი ყოფილისა, როგორც უკვე გარდასული ამბავი, ისე არ სწევას აღამიანის გულს, როგორც გარდასული ბედნიერება, დაკარგული დიდება“ (ილია). ეს მიმღეობა ხშირად გვხვდება დროის აღმნიშვნელ სახელებთან: „როს შორს დარეკს, როგორც ზარი, უამი გარდასული...“ (ი. ნინოშ.). ამიტომ ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა აგრეთვე **გარდასული** (= განვლილი) **დღეები-ც**.

მაგრამ უარყოფითი ემოციით დატვირთულ ტიპობრივ კონტექსტში (ვთქვათ, ომსა და ფრონტთან დაკავშირებულ ამბებს რომ ასახავს) აქტიურდება ანალოგიურ კონტექსტებს მიჯაჭვული ლექსიკა, ამ შემთხვევაში სტაბილური მსაზღვრელი — **გარდახდილი**. ამის გამო მსგავს სიტუაციაში ნახმარი არასინონიმური, მაგრამ ერთგვარად ნაწარმოები მიმღეობები — **გარდასული** და **გარდახდილი** — ასოციაციით ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს და თანამედროვე პრესაში დასტურდება კიდევ ამის შედეგად მიღებული უმართებულო გამოთქმა — **გარდახდილი დღეები**: „ომის სხვა ფრონტებზე... წერს მშვიდობაზე, გარდახდილ უნდა იყოს გარდასულ, განვლილ, წარსულ] დღეებზე, იმ აღამიანებზე, რომლებმაც მიწაში ჩაიტანეს უამრავი ხორცშეუსხმელი ოცნება...“ („თბილ.“).

**გაუწიარმეს** ზმნის მნიშვნელობაა: რისამე მოზიარედ, მონაწილედ გახდის, გაუნაწილებს, გაუყოფს // გადატანით: გაუმხელს, გაან-

დობს... ამასთანავე, გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროსაც ეს ზმნა, ჩვეულებრივ, უკავშირდება ისეთ ცნებათა გამომხატველ სიტყვებს, რომელთა განაწილება, გაყოფა ადვილი წარმოსადგენია. ესენია: სიხარული, სევდა, წუხილი, ფიქრები, აზრით, გამოცდილება და მისთ.: „ქალ-ვაჟი ერთმანეთს აზრსა და მწუხარებას უზიარებდა“ (ლ. ქიაჩ.); „მოწინავე სტახანოველები და ინჟინრები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ საწარმოო გამოცდილებას“ („კომ.“); „ხშირად მთელი დღე ერთად ვიყავით, მიზიარებდა თავის ფიქრებს, სიხარულს, ტკივილს“ („ლიტ. საქ.“)...

მაგრამ ზოგჯერ ზმნა გაუზიარებს გამოიყენება ისეთ კონტექსტში, სადაც მისი ხმარება სემანტიკურად არ არის გამართლებული. მაგალითად: „არ შეგვიძლია არ გავიზიაროთ [უმჯობესია: არ დავისეთ, არ მოგცეთ...] რამდენიმე კითხვა, რომელიც გზადაგზა გავვიჩნდა“ (ტელეგად.); „ძლივს დავამშვიდე და ვთხოვე, მიზეზი გულახდილად გაეზიარებინა“ („თბილ.“). სახელი მიზეზი აღნიშნავს გარემოებას, რომელიც იწვევს სხვა, ახალი მოვლენის წარმოშობას. იგი არ გამოხატავს ისეთ ცნებას, რომლის განაწილება, გაყოფა შეუძლებლადგება. ამიტომ გაეზიარებინა ზმნასთან მისი დაკავშირება არ იქნებოდა მართებული. ამ უკანასკნელია ნაცვლად უნდა ეხმარათ: ეთქვა, გაემხილა, გაენდო, გაემშლავნებინა...

უჩვეულო შესიტყვებას ქმნის ზმნა გაუზიარებს (უზიარებს) შემდეგ წინადადებაშიც: „[ცხენს] ნაღდად მარჯვენა წიხლი უზიარებია“ (გ. კობერ.). ამ შემთხვევაში ზმნა უზიარებია, როგორც ჩანს, უხმარიით უთავაზებია-ს ნაცვლად, რადგან ქართულში, მართლაც, არსებობს გამოთქმა წიხლი უთავაზებია, სადაც ზმნა უთავაზებს გადატანით სწორედ ნიშნავს: ჩასცხებს, ჰკრავს, ჩაარტყამს, მოარტყამს... შდრ.: „დაუარა რაშმა და ყველას თითო წიხლი უთავაზა“ („ზღაბ.“).

გაუწევს ობიექტური წყობის გარდამავალი ზმნაა. მისი თავდაპირველი ძირითადი მნიშვნელობაა: ვასწევს მისას ან მისთვის, მაგრამ ბოლო ხანებში ზმნის ამ ფორმამ მეტად გაიფართოვა მოხმარების არე და სხვადასხვა სახელთან შექმნა არა ერთი და ორი ფიგურალური თუ მყარი გამოთქმა, როგორცაა: ანგარიშს გაუწევს, კონტროლს გაუწევს; შეფობას გაუწევს, წინააღმდეგობას გაუწევს, დახმარებას გაუწევს, მეტოქეობას გაუწევს, ხელმძღვანელობას გაუწევს, შუამდგომლობას გაუწევს, ხათრს გაუწევს, ჭიბრს გაუწევს და სხვ.: „მმართველი... მის რჩევას ანგარიშს უწევდა“ (ივ. ჯავახ.); „ბრივადირი ყოველდღიურ კონტროლს უწევს სამუშაოთა შესრულებას“ („კომ.“); „ქალაქის საწარმო-დაწესებულებები შეფობას უწევენ ცალკეულ სკოლებს“ („კომ.“); „მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს“ (ივ. ჯავახ.);

„ვთქვას მეგობრებმა დიდი ვერაფერიშვილი დახმარება გაუწიეს“ („ლიტ. საქ.“); „ვერც ერთი თბილისური რესტორანი და საბანკეტო დარბაზი მას მეტოქეობას ვერ გაუწიეს“ („თბილ.“)...

აღნიშნულ მყარ გამოთქმებში გაუწიეს ზმნას თავისი ძირითადი მნიშვნელობა თითქმის დაკარგული აქვს და დამხმარე ზმნად არის ქცეული, ხოლო სემანტიკური ფუნქცია მთლიანად მის თანმხლებ სახელს ეკისრება. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც გაუწიეს ზმნის გამოყენება ერთგვარად შეზღუდულია და მისი დაკავშირება განურჩევლად ყველა სახელთან ვერ ხერხდება. ჩანს, ეს მოვლენა ყოველთვის არ არის გათვალისწინებული, რის შედეგადაც ვიღებთ სტილისტიკურად გაუმართავე, უჩვეულო შესიტყვებებს. მაგალითად: „მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებს მოვლა-პატრონობას უწიეს [უნდა იყოს: უვლის და პატრონობს] საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაგა“ („საქ. ბუნ.“); „შდრ.: „...დედაზე უფრო მეტად ის მოუვლიდა და უპატრონებდა პატარებს“ („თბილ.“); „ისინი ორგანიზაციას უწივენ სასწავლო ჯგუფების მთელ მუშაობას [უნდა იყოს ან: მუშაობის ორგანიზაციას ახდენენ, ან: მუშაობას ხელმძღვანელობას უწევენ]“ („გამარჯვ. დროშა“); „იგი ტექსტს რედაქციას უწევდა [უნდა იყოს: უკეთებდა]“ („სამშ.“); „პროტესტის კვირეულის“ [მონაწილენი]... სამი დღის განმავლობაში ბოიკოტს უწევდნენ [უნდა იყოს: უცხადებდნენ] ამ პუნქტს“ („კომ.“); „მიზეზი აშკარა იყო — მატჩს არ გაუწიეს [უნდა იყოს: არ გაუკეთეს] არავითარი რეკლამა“ („ლიტ. საქ.“); „ახლა იგი მიიღებს უპირატეს უფლებას, რომ რეკლამა გაუწიოს [უნდა იყოს: გაუკეთოს] თავის პროდუქციას ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში“ („ლელო“); „ნება მიბოძეთ... გულწრფელად მოგახსენოთ მადლობა იმის გამო, რომ მხარდაჭერას გვიწევთ [უნდა იყოს: რომ მხარს გვიჭერთ]“ („კომ.“); „კვლევიც... მხარდაჭერას გავუწევთ [უნდა იყოს: მხარს დავუჭერთ] არაბთა... ბრძოლას“ („კომ.“); „თათბირზე დადასტურდა, რომ შემდგომი მხარდაჭერა უნდა გაუწიონ [უნდა იყოს: შემდგომაც მხარი უნდა დაუჭირონ] სამხრეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის“ („კომ.“)...

ზოგჯერ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნა გაუწიეს უმართებულოდ ენაცვლება ენაში უკვე დამკვიდრებული ამა თუ იმ მყარი გამოთქმის ზმნას.

1. ნდობას გაუწიეს. გაწეული ნდობა. ქართულში არსებობს ფიგურალური გამოთქმა ნდობას გამოუცხადებს, რომელიც დღევანდელ, როგორც წერითს, ისე ზეპირ მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებულია („ამ დღეებში გურამ მეტონიძეს დიდი ნდობა გამოუცხადეს და... დაადგინეს, რომ რევისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბ-



მთლად ოფლად დაღვრილი [უნდა ყოფილიყო: ოფლში ან ოფლად გაღვრილი], ცრემლმორეული ხმით უყვებოდა... მომხდარ ამბავს“ (ი. ჩაღუნ.): „...მხოლოდ დამ-ღამობით, ყაზარმაში ნარზე დაგდებული და სიზმარულ ჩვენებათა საუფლოში ვადასული, თავისუფლდებოდა, მიმოიხილავდა სათაყვანებელ საქართველოს, ძვირფას ადამიანებს და ხშირად ცრემლებად გაღვრილს [უნდა ყოფილიყო: დაღვრილს] ეღვიძებოდა“ (თ. მაღლ.).

**გაშენება—აშენება** ზმნისწინებით განსხვავებული საერთო ფუძის მქონე სახელებია. ზმნისწინებმა მათ სხვადასხვა ლექსიკური შინაარსი შესძინეს. აშენება ზოგადად აგებას, რაიმე ნაგებობის დადგმას ნიშნავს, გაშენება კი — მთელი ქალაქის, კვარტალის დაარსებას, აშენებას, აგრეთვე დარგვას, ჩაყრას, გახარებას (ხეხილისას, ვაზისას და მისთ.).

გაშენება მასშტაბური ზასიათის შენებაზე მიუთითებს. სინტაგმაში მასთან შეწყობილ სახელებშიც სიმრავლე იკარაუდება. ხეხილის ან ვაზის გაშენება ნიშნავს არა ერთი ხის ან ერთი ძირი ვაზის, არამედ მთელი ბაღის, ვენახის გახარებას: „მზადდება ნიღდავი მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად“ („მებრძ.“); მართალია, ქალაქის გაშენება ერთი ქალაქის დაფუძნება-დაარსებას გულისხმობს, მაგრამ ეს ქალაქი ცალკეულ ერთეულთა — მრავალი ნაგებობის შემცველია, სწორედ ამიტომ გაშენების სინონიმებად გამოიყენება დაარსება, ჩაყრა (ვაზისა)... ე. ი. შეიძლება გაშენდეს მთელი ქალაქი, სოფელი, ახალი უბანი, დასახლება, კვარტალი, ბაღი, პლანტაცია და მისთ. ამგვარ სახელებთან გაშენება ბუნებრივსა და მართებულ შესიტყვებებს ქმნის, რადგანაც მათში ნაკარაუდგვია სხვადასხვა ნაგებობის ერთობლიობა, ერთგვარი ანსამბლურობა.

ერთი რომელიმე ობიექტის აგების აღსანიშნავად სიტყვა გაშენება არ გამოდგება. ასეთ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ აშენება, აგება. მაგ.: „მდინარე ამკარაზე გაშენდა [უნდა იყოს: აშენდა, აიგო] კაპიტალური ხიდი“ („კომ.“); „ახალი სამედიცინო პუნქტი გაშენდა [უნდა იყოს: აშენდა, აიგო] აკვასკაში“ („კომ.“); „სოფლის გულისხმიერმა ხელმძღვანელებმა ეს თხოვნა გულთან მიიტანეს, გააშენეს [უნდა იყოს: ააშენეს, ააგეს] მოსაცდელი საჯდომი ადგილებით“ („მებრძ.“); „გაშენდა [უნდა იყოს: აშენდა, აიგო] ახალი, კომფორტული 200-ადგილიანი საძილე კორპუსი“ („ლიტ. საქ.“).

**გახლავთ** არის ორპირიანი ახლავს (ის მას) ზმნის II ობიექტური პირის ფორმა (ის თქვენ გახლავთ). ახლავს ფორმის მნიშვნელობაა: თან დაჰყვება, ვინმესთან არის; აქვს, მოეპოვება. ამ ზმნით გამოიხატება პატივისცემა, თავაზიანობა ობიექტური პირის მიმართ, როცა

ობიექტური პირი სულიერია და, თანაც, სუბიექტზე ასაკით ან მდგომარეობით აღმატებული. მაგ.: „ერეკლეს თან ახლდნენ მოურავები“ (ნ. ლომ.). სხვა შემთხვევაში კი ახლავს ნეიტრალური თანყოფნის აღმნიშვნელია. მაგ.: ასალ საქმეს ბევრი ხაკლი ახლავს.

ახლავს ფორმანაკლული ზმნაა, არა აქვს ყველა დრო-კილოს ფორმა. ახლავს(თ) ფორმა საზიაროა სუბიექტური და ობიექტური წყობისათვის. როცა სუბიექტი მრავლობით რიცხვშია, იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება ახლავან ფორმაც („გვერდით გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი ახლავან“, — შ. არაგვ.). სუბიექტური წყობის I პირის ფორმა ვახლავარ(თ), ძირითადი მნიშვნელობით გამოყენების გარდა, იხმარება მისალმებისათვის და იგივეა, რაც „გაუმარჯოსი“. მაგ.: „ნათლიდედას ვახლავარ!“ (გ. წერ.) ნიშნავს: „ნათლიდედას გაუმარჯოსი!“ „გამარჯობა, ნათლიდედა!“ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ასეთ მისალმებას ახლავს შინაურული, ფამილარული ელფერი და არა პატივისცემისა და თავაზიანობისა. მაგ.: „ბენოს ვახლავარ, რას შერბები, კაცო, აღარ ამირებ წასვლას?“ („ლიტ. საქ.“). ამჟამად ოფიციალური და, ამდენად, უფრო პატივისცემის გამომხატველი, თავაზიანი მისალმების ფორმულად იხმარება: **გამარჯობათ!** <გამარჯვება (თქვენნი).

ობიექტური წყობის I პირის ფორმები **მახლავს**, **გვახლავს** გამოიყენება მხოლოდ დასაბეღლებული ძირითადი მნიშვნელობით, II პირის ფორმების გამოყენებასთან კი დაკავშირებულია ზოგი ლექსიკური და, ამასთან ერთად, სტილისტიკური თავისებურებაც. **ვახლავარ** (მე შენ), **ვახლავართ** (მე/ჩვენ თქვენ), **ვახლავს** (ის შენ), **ვახლავთ** (ის თქვენ) ფორმები, ძირითადი მნიშვნელობით ხმარების გარდა, გამოიყენება თავაზიანი საუბრის დროს ადრესატის პატივისცემად. ასეთი დანიშნულებით მოხმარებისას უაღვილოა **ვახლავარ**, **ვახლავს** (და შესაბამისად **ვახლდი**, **ვახლდა**) ფორმების გამოყენება, ვინაიდან არაა ასახული ობიექტის მრავლობითობა, ე. წ. თავაზის მრავლობითობა. თავაზიანობის სემანტიკით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამართლებულია მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელშიც თქვენობით მიმართვა ხაზს უსვამს თავაზიანობის შინაარსს: **ვახლავართ**, **ვახლავთ**, **ვახლდით**, **ვახლდათ**.

ობიექტური წყობის დასაბეღლებული ფორმები ყველა პირისა გამოიყენება ერთპირიანის გაგებითაც, ასეთი მნიშვნელობით: **არის**, **არსებობს**. ამ შემთხვევაშიც თავაზიანობის ნიუანსი შენარჩუნებულია საუბარში მონაწილე პირის მიმართ. როცა მოურავი ლუარსაბ თათქარიძესთან საუბარში იყენებს ასეთ ფორმებს: „ტარხუნაც, კატრიც **ვახლავს**“ (=არის), „სახლი როდისა **გხლდებიან**“ (=ყოფილა) ნაკლუ-

ლი“, — ჩანს ბატონის მიმართ ყმის შორიდება და თავაზიანობა. ამგვარი ფორმების გამოყენებისას ყოველთვის ივარაუდება აღრესატი, რომლის პატივისცემითაც უხმარიათ ისინი. ზოგჯერ ამ ფორმებს სუბიექტის მიმართ პატივისცემისა და მოკრძალების ნიუანსიც უჩანთ. მაგალითად: „გიორგი მეტრეველი უკვე ორმოც წელს მიღწეული კაცი ვახლდათ“ („ცისკ.“); „იქ დავეხლოვდი იონა კვარაცხელიას, რომელიც წაღენჯიხის რაიონის სოფელ ჭვალიდან ვახლდათ“ („კომ.“); „მიხეილ გრომოვი მარჯვე მზვერავი ვახლდათ“ („ცისკ.“); „იგი საინტერესო, ორიგინალური და განუმეორებელი პიროვნება ვახლდათ“ („მნათ.“); „უფროსი მწვრთნელი დავით ყიფიანი სწორედ ასეთი სპორტსმენი ვახლდათ“ („ახ. კომ.“); „საპატიო სტუმარი რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თამარ თეთრაძე ვახლდათ“ („თბილ.“) და მისთ. ასეთ შემთხვევაში სუბიექტის პატივისცემის აღსანიშნავად უფრო ბუნებრივი იქნებოდა ბრძანდება (ბრძანდებოდა) ფორმების გამოყენება.

ერთპირიანად ვაგების შემთხვევაში ვახლავს ზმნა შეიძლება გამოიყენებოდეს ირონიული ელფერიითაც, რაც ჩვეულებრივია თავაზიანობის სხვა საშუალებათა გამოყენების დროსაც. ირონია შეიძლება მოსაუბრემ გამოხატოს საკუთარი თავის მიმართაც და შესაძებ პირის მიმართაც. ოღონდ აღრესატის მიმართ მოკრძალება მაინც ივარაუდება. ამგვარი შემთხვევები, ჩვეულებრივ, უარყოფითი სემანტიკის შემცველ კონტექსტებში გვხვდება. მაგ.: „მეც არ ვახლავართ დიდი მსმელი“ (რ. ინან.); „მოვალეობის აღსრულებაზეც ცოტა მწყრაღად ვახლდით“ (ვ. ხორჯ.); „არ არის გამართლება ადამიანისთვის, რომელიც იტყვის: საქვეყნო საქმისაგან მოუცლელი ვახლდით და შვილს ვერ მივხედოვ“ („თბილ.“); „მუშაობაზე კი ცოტა უკაცრავად ვახლდათ“ („მნათ.“); „ჩვენში, მაგალითად, წლების მანძილზე ვერ ვახლდათ ამგვარი საქმე სახარბილოდ“ („ლიტ. საქ.“); „პატარა ხულიგანი ნასვამი ვახლდათ“ (ვ. დოჩან.) და მისთ. ამგვარი დანიშნულებით ხშირად ხმარობს ვახლავთ (ვახლდათ) ზმნის ილია ჭავჭავაძე: სუბიექტის მიმართ ირონიით, მაგრამ მკითხველთა პატივისცემით. მაგ.: „თავადი ლუარსაბ თათქარიძე ვახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი“; „იმ სოფელში ბაზარიც ვახლდათ“ და მისთ. ეს ხერხი მწერლის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა.

სხვა შემთხვევებში, როცა ეს ფორმები არც სტილის განმსაზღვრელია, არც რომელიმე პირის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამომხატველი, როცა არც საუბრის მომენტი და, ამდენად, არც მიმართვის ობიექტი ივარაუდება, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უადგილოა ვახლავთ ფორმის გამოყენება მხოლოდ მეშვე-

ლი არის ზმნის ფუნქციით. როცა ფორმაში პირველი პირი ჩანს (**გახლავართ, გახლდით**), ამ ფორმების გამოყენება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ასეთ შემთხვევებში ადრესატის არსებობა ყოველთვის უფრო იგრძნობა. მაგ.: „მწერლობაში ჯგუფად მოსვლის და მწერლობიდან ჯგუფად წასვლის მომხრე მინცდამაინც არ **გახლავართ**“ („ლიტ. საქ.“); „17 ივლისს უკვე თბილისში **გახლდით**“ (ცისკ.“) და მისთ. III პირის ფორმა უფრო ახლოსაა ერთპირიანი არის ზმნის გაგებასთან და ამდენად უფრო თავისუფლად იგუეზს მეშველი ზმნის ფუნქციას. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა იგი დაცლილია ძირითადი ფუნქციისაგან და გაუმართლებელია კონსტრუქციაში. მაგ.: „ამისათვის კი ერთ-ერთი და გადამწყვეტი პირობა **გახლავთ** [უნდა იყოს: პირობაა] მოზარდის ფსიქოლოგიური აღზრდა“ („თბილ.“); „ხელოვნების უკლებლივ ყველა სფერო სარწმუნოებრივ სამოსელში **გახლდათ** [უნდა იყოს: სამოსელში იყო] გახვეული“ („ლიტ. საქ.“); „ხომ უნდა დამარცხებულიყო რომელიღაც, რაც ჩვენთვის წარმოუდგენელი **გახლდათ** [აჯობებდა: წარმოუდგენელი იყო]“ (გ. დოჩან.); „დიავნოზი ასეთი **გახლდათ** [უნდა იყოს: ასეთი იყო]“ („ლელო“) და სხვ.

მეშველი ზმნის ფუნქციით **გახლავთ** ზმნის შტამპურად ხმარებას შედეგად ზოგჯერ ის მოჰყოლია, რომ იგი გაქვეყნებული ფორმებით გამოუყენებიათ. მაგ.: „ასპარეზობა იმით იყო საინტერესო, რომ მისი არც ერთი მონაწილე 40 წელზე ნაკლები ასაკისა არ **გახლდა** [მოსალოდნელი იყო: არ გახლდათ; აჯობებდა კი: არ იყო]“ („ლელო“); „ის კი ფაქტია, რომ მათი [გერმანელების] ათლეტები, საერთო მოწონებას რომ ინსახურებენ, სწორედ ის **ბავშვები გახლავთ** [უნდა ყოფილიყო: ბავშვები გახლავან; უმჯობესია: არიან]“ („თბილ.“) და სხვ.

მყარ შესიტყვებად იქცა გამოთქმა: **საქმე ის გახლავთ**. მაგ.: „**საქმე ის** კი არ **გახლავთ**, რომ დინამოელემბმა დიდი ანგარიშით სძლიეს მეტოქეს“ („თბილ.“); „**საქმე ის გახლავთ**, რომ ჭეშმარიტი თავისუფალი ლექსი უფრო ძნელი დასაწერია“ („მნათ.“) და სხვ.

ამგვარად, თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმის თვალსაზრისით, დიალოგში, სადაც მიმართვის ობიექტი (II პირი) ჩანს, **გახლავთ** (მხოლოდ მრ. რიცხვის ფორმით) ერთპირიანად ხმარებისას არის ზმნის თავაზიანი ფორმა. ზოგჯერ ამავე ფორმაში თითქოს სუბიექტისადმი მოსაუბრის პატივისცემა გამოკრთება და მაშინ მას **ბრძანდება** ზმნის მნიშვნელობა აქვს. იხმარება ეს ზმნა ირონიული ელფერიითაც. ნეიტრალურ მეტყველებაში, როცა არც მიმართვის ობიექტი ჩანს, არც ვისიმე პატივისცემა ივარაუდება და ზმნაც მხოლოდ დამხმარე არის ზმნის მნიშვნელობითაა ნახმარი, **გახლავთ** ფორმის გამოყენება უნდა შეიზღუდოს.

**გაჯირითება, ჯირითი.** ამ სიტყვებს ფიგურალური შინაარსით გამოყენება თანამედროვე ქართულში ხშირად წარმოშობს უმართებულო შესიტყვებებს. იხ. ჯირითი.

**გეახლებათ** ობიექტური წყობის II პირის ფორმაა **ეახლება** (**ეახლა, ხლება** ის მას) გარდაუვალი ზმნისა, რომელიც თავიდან საუბარში იხმარება ასეთი მნიშვნელობით: მივა ვინმესთან, ესტუმრება, ეწვევა ასაკით უფროსს ან საზოგადოებრივი მდგომარეობით მასზე უფრო მაღლა მდგომ პირს. (ეს ზმნა იხმარება ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმითაც: **გიახლება, იახლა** (←**ეახლა**): „საწყალი მამა მოხუცებული **იახლა** ბატონს თხოვნით, ხვეწნითა“, — ილია). მაგ.: „არ დაიშალა მახარაიმ, კარვის მცველად უნდა **ევახლოვო** უფლისწულს“ (ქ. გამს.); „გიგუშა ჭერ ნაცნობებს მიესალმა, დიმიტრის კი პირადად **ეახლა** და ჩამოართვა ხელი“ („ცისკ.“); „სხვებზე აღრე ძმები ნაფიჩვაძეები **ეახლნენ** ბატონიშვილს“ (რ. ჯაფარი.) და სხვ.

**ეახლება** ზმნა იხმარება ყველა პირის ფორმით და ორივე წყობით: **ევახლები** (ევახლებით), **ეახლები** (ეახლებით), **ეახლება** (ეახლებიან), **მევახლება** (მევახლებიან), **გვევახლება** (გვევახლებიან), **გევახლება** (გევახლებიან), **გევახლებიან**.

ობიექტური წყობის პირველი პირის **მევახლება** (მევახლებიან), **გვევახლება** (გვევახლებიან) ფორმებს მხოლოდ ცალსახა მნიშვნელობა აქვთ. მათში ჩანს თავაზიანობა სუბიექტისა ირბიბი ობიექტის (მეორე პირის) მიმართ. მაგრამ, ვინაიდან ამ ფორმებს მოსაუბრის (I პირის) პოზიციის ასახვა ევალება, საკუთარი თავის მიმართ კი ასეთი ფორმების გამოყენება უტაქტობა იქნებოდა, ზოგჯერ სწორედ ამგვარ ფორმებს მიმართავენ, როცა III პირის მიმართ პატივისცემის გამოხატვა სურთ. მაგ.: „როდესაც ჩვენი გულითადი მეგობრები... მიკოლა ბაჟანი, ყაისინ ყულიევი და ზელა ახმადუღინა სტუმრად **გვევახლებიან** (= მობრძანდებიან), ქართველ მწერალთა უსაყვარლეს სახელებთან ერთად ისინი მუდამ ასხენებენ ფეიგინის სახელსაც“ („ლიტ. საქ.“). სუბიექტის მიმართ პატივისცემის გამოსახატავად **გვევახლებიან** ფორმა არასწორადაა ნახმარი, უნდა იყოს: სტუმრად **გვეწვევიან** (გვესტუმრებიან) ან **მობრძანდებიან**.

**გევახლებათ** ფორმა კი შეიძლება ორაზროვანი იყოს: 1. **გეწვევათ** (მოვა ის თქვენთან) და 2. **მიირთმევს, შეიქცევა**. ორსავე შეთხვევაში იგი უნდა იხმარებოდეს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით, რომელშიც ობიექტის მრავლობითობაა გამომხატული პატივისცემით მიმართვის გამო. მხოლოდობითის **გევახლება** ფორმა შეიძლება გამოიყენებოდეს სუბიექტის მიმართ ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად: მაგ.: „ცივისაც კარგად **გევახლება**“ (ა. სულაქ.).

**გეზი, კურსი** არის სკლის მიმართულება, გზა (გემისა, თვითმფრინვისა). **გეზის, კურსის აღება** — გარკვეული მიმართულებით სკლა — ბუნებრივ შესიტყვებას — კენ თანდებულებიან სახელთან ქმნის. მაგ.: თვითმფრინავმა (გემმა) **გეზი, კურსი ჩრდილოეთისაკენ (შორეული აღმოსავლეთისაკენ) აიღო**; „ტანკერმა“ „სოხუმმა“ **გეზი იტალიისაკენ აიღო** („კომ.“); „შეორე დღეს ტანკერს კურსი ამერიკისაკენ უნდა აეღო“ („კომ.“); „ქალმა პირთაქვე **გეზი აიღო ჩარგლისკენ წმოსასვლელი**“ (ბაი.).

**გეზი, კურსი აიღო** + -ზე თანდებულებიანი სახელი კალკირებული გამონათქვამია (შდრ. *взять курс на север*) და მისი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით გამართლებული არ არის. მაგ.: „გავიღის ივლისის მცხუნვარე კოლხური დღეები... და კაპიტანი კვლავ მშფოთვარე ოკეანეზე [უნდა იყოს: ოკეანი-საკენ] აიღებს გეზს“ („სამშ.“).

**გეზი, კურსი** გადატანილი მნიშვნელობითაც იხმარება. ეს არის ძირითადი მიმართულება, ორიენტაცია (პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში).

როცა **კურსის, გეზის აღება** უშუალოდ სკლის მიმართულების ჩვენებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ იგი გარკვეული მოსაზრებებით, შეხედულებებით ხელმძღვანელობას, მოქმედებას გულისხმობს, სახელის თანდებულებიანი ფორმის გამოყენება მასთან მიზანშეწონილი არ არის. ამ შემთხვევაში — კენ თანდებულის გამოყენება ისევე გაუმართლებელია, როგორც — ზე თანდებულისა. მაგალითად: „კოლმეურნეობას **კურსი აქვს აღებული მევენახეობის სწრაფ განვითარებაზე**“ („კომ.“). უნდა იყოს: კოლმეურნეობას მევენახეობის სწრაფი განვითარების **კურსი აქვს აღებული**. ერთადერთი ბუნებრივი ფორმა ასეთ კონტექსტებში ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. შდრ.: საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყნის კოლექტივიზაციის (ელექტრიფიკაციის, ინდუსტრიალიზაციის, წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობის ლიკვიდაციის) **კურსი, გეზი აიღო**.

**გეზი, კურსი** — როგორც პირდაპირი, ასევე გადატანილი მნიშვნელობით — მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ კონტექსტებში შეიძლება გამოვიყენოთ. გადატანილი მნიშვნელობით ნახმარი **გეზის, კურსის აღება** ფართო მასშტაბის ღონისძიებათა განსახორციელებლად მიმართულ მოქმედებას გულისხმობს. როცა კონტექსტით ჩასატარებელ სამუშაოთა ასეთი ფართო მასშტაბები არ იგარაუდება, ამ შესიტყვების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის: „ამოცანა რომ ერთობ რთული იყო, ამაში მკითხველი უკვე დარწმუნდებოდა, მაგრამ ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ არამც და არამც **გეზი** ბოროტ-

მოქმედთა ამოხოცვაზე არ უნდა აღდგოთ“ („კომ.“). ამოხოცვა ვერა-  
ნაირი ფორმით ვერ შექმნის ბუნებრივ შესიტყვეებას გეზის აღებასთან  
(წარმოდგენილი კონტექსტის მიხედვით, სასურველი იყო საშიშ ბო-  
როტმოქმედთა ცოცხლად შეპყრობა).

**გეოგრაფია** ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. *geographia* — მიწის  
აღწერა). სხვა ენათა მსგავსად, ქართულშიც ამ სახელით აღინიშნება  
ის დარგი მეცნიერებისა, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირს,  
მის ფორმას, ფიზიკურ თვისებებს, კლიმატს, პროდუქტებს, მოსახ-  
ლეობას და ქვეყნის ბუნებრივ და პოლიტიკურ ნაწილებს. ამის შე-  
საბამისად ენაში დამკვიდრებულია ბუნებრივი შესიტყვეებები: ფიზი-  
კური გეოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრა-  
ფია, ისტორიული გეოგრაფია და მისთ. სხვაგვარი გაგება, სხვა მნი-  
შენელობა სიტყვა გეოგრაფიას ჯერჯერობით არა აქვს და, გარდა ზე-  
მოთ ჩამოთვლილი შესიტყვეებებისა, სხვა რიგის შესიტყვეებებში მისი  
ხმარება ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით ბუნებრივ შე-  
ხამებებს ვერ მოგვცემს. ამიტომ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამ ბო-  
ლო დროს ქართული პრესის ენაში გამოყენებული შესიტყვეებები:  
ფეხბურთის გეოგრაფია, თესვის გეოგრაფია, კიბოს გეოგრაფია და  
მისთ. მაგ.: „ფეხბურთის გეოგრაფია ვიწროვდება“ („ლელო“—სათ.:  
ლაპარაკია იმაზე, რომ საფეხბურთო სეზონის დასასრულს ცოტალა  
დარჩა ადგილი, ბუნქტი, სადაც თამაში გაიმართება); „სასურველია  
გაფართოვდეს სამორიგეო უბნების გეოგრაფია, გადახალისდეს შტაბ-  
ში გამოკრული თვალსაჩინოებანი“... („თბილ.“); „გველიან წლებში  
ზაფხულის თესვის გეოგრაფია ვიწროვდება“ („ახ. ცხოვრ.“); „კიბოს  
„გეოგრაფია“ ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა ზონის მოსახლეო-  
ბის ცხოვრების თავისებურებებთან, მათი შრომის და ყოფის პირო-  
ბებთან, ეკონომიკის განვითარებასთან“ („თბილ.“); „წინასწარ გამო-  
აქვეყნეთ სია თქვენი „მეწინავე თემებისა“; ეგ კი არა, თვით „საფი-  
ხნოს“ კითხვებიც შეგიძლიათ წინასწარ დაბეჭდოთ — მაშინ უფრო  
გაიზრდება თქვენი ფოსტა და გეოგრაფიაცო“ („სკ. და ცხოვრ.“);  
„სამ დღეს მიმდინარეობდა დრეკადობის თეორიის მეორე საკავშირო  
კონფერენცია... თბილისური შეკრება ერთობ წარმომადგენლობითი  
გამოდგა — მისმა „გეოგრაფიამ“ 43 ქალაქი მოიცვა“ („თბილ.“);  
„სინღერის დღესასწაული მთელ ქალაქს მოედო, თანდათან განიცრო  
და განიტოტა მისი გეოგრაფია“ („თბილ.“); „ამ გაზაფხულზე ველო-  
დები იაპონურად განოცემულ ჩემი ნოველების წიგნს, რომელიც,  
რასაკვირველია, მთარგმნელობით ლიტერატურაში ფურორს ვერ მო-  
ახდენს, მაგრამ ჩემს ლიტერატურულ გეოგრაფიას ძალიან შეეწევა“  
(„თბილ.“). ამ წინადადებებში ლაპარაკია დასახელებული მოვლენების

გავრცელების, მოქმედების არეზე, მასშტაბებზე და მისთ. ამის მიხედვით წინადადებებიც სხვაგვარად უნდა აგებულიყო.

უზუნრულობას მსგავს გამოთქმითა ხმარების გამო ზოგჯერ იმით გამოხატავენ, რომ აღნიშნულ სიტყვას ბრჭყალებში სვამენ, მაგრამ ბრჭყალები ვერ აზღვევს კონტექსტს გაუმართლებელი ფსევდოპათეტიკური ტონისაგან. სიტყვა გეოგრაფიის არაღანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად აზრის სიცხადე ეწირება მისი კომპაქტურად და ეკონომიურად გამოხატვის სურვილს.

**გზაზე/გზაში.** 1. გზა არის ზოლი, გაკვალული ან გაყვანილი დედამიწის ზედაპირზე, რომელიც განკუთვნილია ადამიანის, ტრანსპორტისა და სხვ. მიმოსვლისათვის, მგზავრობისათვის, — სავალი. მაგ.: საავტომობილო გზა, რკინიგზა, საურმე გზა, საცალფეხო გზა, სასოფლო გზა, შარავზა, საქართველოს სამხედრო გზა, მცხეთის გზა, ბეთანიის გზა, ბათუმ-ახალციხის გზა...

გზის ამ მნიშვნელობით ხმარებისას -ზე და -ში თანდებულთაგან მხოლოდ -ზე შექმნის მართებულ შესიტყვებებს. მაგ.: გზაზე მიდიოდა, გზაზე ფეხი დაუცდა, გზაზე წაიქცა, გზაზე ეგდო, გზაზე ეყარა... „ლუდი გზაზე დაიღვარა“ (საზღ. ხალხ. ზღაპ.); „დაწვა ძალი გზაზე და მკვდარივით დიძინა“ (ჯ. ქარჩხ., თარგმ.); „იმის ნაცვლად, რომ [ასფალტის] სატყეპნი მანქანა ღამით გზის გვერდულზე ყოფილიყო გაჩერებული, შუა გზაზე დატოვეს“ („კომ.“); „ვინც ბოლნისის გზაზე საქართველოს უკვდავების სიმბოლური ქანდაკების („ქიდევატ დიიზრდებიან“) კვარცხლბეკთან მდგარა, არ შეიძლება ოკეანეებს შევიდებულნი ვემბანის რყევა არ ეგრძნო ფეხქვეშ“ („ცისკ.“).

გზა, როგორც დედამიწის სავალი ნაწილი, კონკრეტული საგნის სახელია. მას მრავლობითი რიცხვის ფორმაც აქვს. შდრ.: საავტომობილო გზები, სანაოსნო გზები. სათანადო კონტექსტებში გზები გამოწკლისის გარეშე -ზე თანდებულნი იქნება. მაგ.: „სოფლის გზებზე ავტოკატასტროფების შედეგად ყოველწლიურად 250 000 ადამიანი იღუპება“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დაეიცვათ გზებზე მოძრაობის წესები“ („კომ.“).

გზის გადატანითი მნიშვნელობა ივარაუდება ქართულში გავრცელებულ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: ცხოვრების გზა, მოლიპული გზა (ამ შესიტყვებათა გზა სათანადო კონტექსტებში მხოლოდ -ზე თანდებულნი შეიძლება იყოს), (სწორ) გზაზე დააყენა, შუა გზაზე გაჩერდა. მაგ.: „ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრ საინტერესო აღაამინს შევხვედრე“ („კომ.“); „მან მოლიპულ გზაზე სიარული არჩია“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამ ახალგაზრდების სწორ გზაზე დაყენებას... თანასოფლელებიც ცდილობდნენ“ („სოფლ. ცხოვრ.“);



„შუა გზაზე გაჩერება მარცხს ნიშნავდა“ („საქ. ქალი“); „ცხოვრების შუა გზაზე შემომალამდა“ (ქ. გამს.).

2. გზა სხვა გაგებით — თითქოსდა დაცლილი საგნობრივი მნიშვნელობისაგან — მგზავრობას, მოგზაურობას, სვლას უკავშირდება. მაგ.: გზა მშვიდობისა უსურვა ნიშნავს: შინ მშვიდობით მისვლა, მშვიდობით მგზავრობა უსურვა. გზის ამ მნიშვნელობით (ე. ი. გზა როგორც სვლა, მგზავრობა, მოგზაურობა) ხმარებისას -ზე და -ში თანდებულთაგან ენა -ში თანდებულნიან ფორმებს ანიჭებს უპირატესობას. მაგ.: „მეორე დღეს ხალხებიანმა იაგუარმა ცხენი შეაკაწმინა, ქალს ერთი რქა აჩუქა, იქნებ გზაში გამოვადგესო, და გაისტუმრა“ („ბრაზ. ზღაპ.“); „გატყობთ, რომ გზაში მეტისმეტად დალილებართ, შემობრძანდით ჩემს ქობში, დაისვენეთ და შერე ერთად გავუდგეთ გზასო“ („საზღ. ხალხ. ზღაპ.“); „გზაში გამოვეცადეთ ინტერნაციონალური გრძნობის სილიადე“ („თბილ.“); „ერთხელ ნადირობისას ახალი ამბავი შეიტყვეს: მეფის საცოლზე უკვე გზაშია და საცაა ჩამოვია“ (მ. გომ., თარგმ.); „სულ გზაში ვარ, — თავს იმართლებდა მატარებლის გამცილებელი“ („კომ.“); „გზაში ნაკადულს ნაკადული შეემატება“ (მ. გომ.).

ის შინაარსობრივი ნიუანსი, რომელიც -ზე და -ში თანდებულნიან ფორმათა გამოყენებას ახლავს, ყოველთვის არ ირის გათვალისწინებული. მაგ.: „მოხუცი კაცი მიდის გზაში. ეტყობა წისქვილისაგან აუღია გეზი“ („სოფლ. ცხოვრ.“). მიდის ზნა პუნებრივ წყვილს -ზე თანდებულნიან სახელთან ქმნის: გზაზე მიდის (სიარული მხოლოდ გზაზე, გზის ზედაპირზე შეიძლება). შდრ. ოთარ ჭილაის ცნობილი რომანის სახელწოდება „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ანდა: „რას ფიქრობდნენ გზის მშენებლები, რომლებმაც გაუნათებლად, შემოუზღულდაცად და საგზაო ნიშნის გარეშე მიატოვეს გზაში დაყრილი ხრეში?“ („კომ.“). [უნდა ყოფილიყო: გზაზე დაყრილი ხრეში]. შდრ. იმავე სტატიისმი: „გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი „ჟიგული“ გზაზე დაყრილი ხრეშის დიდ გროვას შეეჯახა“; „— ნოღარ, გააჩერე მანქანა, ბავშვიანი ქალია! —... ნუ იცი ეგეთი რაბიების აჩენება. გზაში მგზავრს რა გამოლევს?“ („ცისკ.“). [უნდა იყოს: გზაზე მგზავრს რა გამოლევს]; „ინინი მოვალენი არიან დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური წესები ქუჩებში, ორლობებში, გზებში“ („სოფლ. ცხოვრ.“). უნდა იყოს: ქუჩებში, ორლობებში, მაგრამ: გზებზე, გზაჯვარედინებზე.

იმის მიხედვით, თუ კონტექსტით რა ივარაუდება, — მოქმედება, რომელიც გზის ზედაპირზე, ე. ი. გზაზე (на дороге) ხდება, თუ გზად ყოფნის, სვლის დროს, ე. ი. გზაში (в дороге, в пути), —

გვაქვს მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებული -ზე და -ში თანდებულიანი ფორმები.

იხ. აგრ. -ზე/-ში.

**ზნით** ზმნისართი, ჩვეულებრივ, ენაცვლება ისეთ სიტყვებს, როგორცაა **საშუალებით, გამოყენებით, მეშვეობით**, — იმ განსხვავებით, რომ ნათესაობითში დასმულ საწყისს დაერთვის. სინონიმური ხმარების შესახებ იხ. **დახმარებით**.

**გულაღმა დაემხობა**. ამ შესიტყვებაში შემავალი სიტყვები შინარსობრივად არ ეხამებიან ერთმანეთს, რადგანაც **დაემხობა** ნიშნავს: ისე დაწვება (დაეცემა), რომ სახე ქვევით ჰქონდეს, პირქვე დავარდება, პირქვე დაეცემა. მაგ.: „აბღუშაპილი... **დაემხო დაბლა** და მიწას სამჯერ აკოცა“ (აკაკი). **გულაღმა** ზმნისართი კი ნიშნავს ისე დაწოლას, რომ სახე, გულმკერდი აღმა, ზევით ჰქონდეს, — ზურგზე დაწოლას. ბუნებრივია, **გულაღმა**, ე. ი. სახით ზევით დაწოლის შესახებ აღარ შეიძლება ითქვას **დაემხო**, არამედ მხოლოდ **დაწვა**. მაგ.: „ჭინჭრაქა გულაღმა **დაწვა**, ცა რომ ჩამოინგრეს, ფეხით დავიჭერო“ (ანდ.).

რადგან **დამხობა** შეიძლება მხოლოდ პირქვე, სახით ქვევით, ბუნებრივი ქართული გამოთქმაა **პირქვე დაემხობა**. მაგ.: „განდევნილი კანკალით **პირქვე დაემხო** ღვთისმშობლის წინა“ (ილია). რაც შეეხება შესიტყვებას — **გულაღმა დაემხობა**, — შეუძლებელი სიტყვათშეხამებაა, შეცდომაა და არ უნდა იხმარებოდეს: „შეხალათიანი **გულაღმა დამხობილიყო** [სწორია: **გულაღმა დაწოლილიყო**]“ („ცისკ.“).

**გულიდან ვერ მოიშორა**. ქართულში გვაქვს სხვადასხვა შინაარსის ორი მყარი შესიტყვება: **გულიდან ამოიგდო** // **გადაიგდო** (= რამეზე ფიქრს, დარდს, წუხილს თავი ანება) და **თავიდან მოიშორა** (= ჩამოიცილა, უარი უთხრა რამეზე). ამ გამოთქმათა შესაბამისი უკუთქმითი ფორმებია **გულიდან ვერ ამოიგდო** // **გადაიგდო** და **თავიდან ვერ მოიშორა**. ამ ორი გამოთქმის ასოციაციური დაკავშირებისა და შერწყმის საფუძველზე ჩანს შეთხზული გამოთქმა **გულიდან ვერ მოიშორა**: „აკვიატებული აზრი **გულიდან ვერ მოიშორა**“ („ახ. კომ.“). მსგავს კონტექსტში უნდა ვიხმაროთ რომელიმე ამთავანი: (აზრი) **გულიდან ვერ გადაიგდო**; **აკვიატა**; **გულში ჩარჩა**; **გონებიდან ვერ მოიშორა** (//ვერ ამოიღო).

**გულს ინუგეშებს**. ძველი ქართულიდან მომდინარე გარსები-თებულე სახელი **ნუგეში** აღნიშნავს ისეთ რამეს (გარემობას, ვითარებას, სიტყვას, მოქმედებას და მისთ.), რაც აღამიანს დაამშვიდებს, რწმენას, იმედს ჩაუწერგავს: „ამით ისინი **ნუგეშობენ** და **გულს იმშვიდებენ**“ (აკაკი); „სადაც კი შევიდოდა, თან **ნუგეშიმედი** შეკ-

ქონდა“ (აკაკი); „ბისანამ იმ წუთშივე ნუგეში მიაგება და თან სასთუმალთან მიუჯდა“ (ვ. ჩექურ.); „მარიამი ნუგეშისმომგვრელ სიტყვებს ველარ პოულობდა“ (კ. გამს.); „მაგრამ ბეთქილი ნუგეშს არავის აძლევდა“ (თ. ონ.)... დამოწმებული შესიტყვებებიდანაც ჩანს, რომ ნუგეშით ადამიანის დამშვიდება აუცილებლად ვარაუდობს ფსიქიკური ფაქტორების ჩართვას, გონების მონაწილეობას, ჩაგონებას... (განსხვავებით იმ რიგის დამშვიდებისაგან, რომელიც წმინდა ფიზიოლოგიური გზით მიიღწევა). ალბათ ამის გამოა, რომ აღნიშნული სახელისაგან ნაწარმოები გარდამავალი ზმნის მონაწილეობით შედგენილ ფიგურაულურ გამოთქმაში მეორე წევრად დღევანდელ ქართულში იხმარება უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი: თავს ინუგეშებს. ეს ნიშნავს: ნუგეშს აძლევს თავის თავს, თავს იმხნევეს. ამ მყარი შესიტყვების შეცვლა, სწორი ქართულის თვალსაზრისით, გამართლებული არ არის. ზეპირმეტყველებასა და ზოგჯერ პრესის ენაში კი ამ რიგის ენობრივი დარღვევები გვხვდება. მაგ.: „...სწორედ ბელგრაძის ტურნირებიდან ჩამოვედი „ხელმოცარული“, მაგრამ გულს იმით ვინუგეშებ [უნდა იყოს: თავს იმით ვინუგეშებ], რომ ამ შეჯიბრებათა რეკორდი მაინც მე მეკუთვნის“ („კომ.“). გულს ვინუგეშებ მიღებულია დღევანდელ ქართულში გაგრძელებული მეორე მყარი შესიტყვების (გულს ვიმშვიდე) ანალოგიით ან ორი სწორი გამოთქმის აღრევით. სწორია: გულს იმშვიდება და თავს ინუგეშებს.

## დ

**დაამთავრებს — დაასრულებს.** დამთავრება და დასრულება სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებია და ნიშნავს რაიმე საქმის, ღონისძიების ბოლომდე მიყვანას, მთელად, სრულად გახდომას, დაბოლოებას. ამასთან, დამთავრება უფრო ზოგადი და, შესაბამისად, ფართო კონტექსტებში მოსახმარი სახელია აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად. დასრულება||ძვ. გასრულება ზმნებით კი, ჩვეულებრივ, ვრცელი ამბის (ზღაპრის...), დიდი, მნიშვნელოვანი ღონისძიების, მასშტაბური, ძნელად განსაზოროცილებელი საქმის დასასრული გამოხატება. (შდრ.: „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“, — რუსთ.). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმა გასრულება აქტიური, ფართო მოხმარების სიტყვა აღარ არის და მისი გამოყენება მხოლოდ პოეტურ-სტილიზებულ შესიტყვებაშია გამართლებული. ამიტომ სიტყვა გასრულება ორმაგადაა დასაწუნი ისეთ შესიტყვებებში, სადაც იგი ვერც ემო-